პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

4 დეკემბერი, ოთხშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 283 (14279)

შჰაჰტაქებენ სამშოგლოს

● საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. აბესაძემ, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ უ. სხირტლაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ბ. ჰიღლაძემ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას აცნობეს, რომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმა ვადაზე ადრე — 1 დეკემბრისათვის გაანაღდეს. სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა შესრულებულია 162,5 პროცენტით, რძისა — 106 პროცენტით, კვერცხისა — 105 პროცენტით.

● ბორის რაიონის ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობამ 29 ნოემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულა სახელმწიფოსათვის თესლოვანი ხილის და ბოსტნეულის მიყიდვის წლიური გეგმები. სახელმწიფოს მიეყიდა 1.830 ტონა ხილი ნაცვლად 1.764 ტონისა, 412 ტონა ბოსტნეული ნაცვლად 310 ტონისა.

ვარიანელებმა გადაწყვიტეს სახელმწიფოს წლიური გეგმის გადამეტებით მიჰყიდონ 110 ტონა თესლოვანი ხილი. — ეს აცნობა „კომუნისტის“ რედაქციას ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ლაბაძემ.

სვინდისი — ვადამდე!

ჯილდოები ინვალიდებს დაიმსახურეს

გარდამავალი წითელი დროშები სრულიად საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებულებს

◆

საქართველოს სსრ მთელი რიგი სამრეწველო საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და მესამე კვარტალში გაწეული მუშაობის შედეგების მიხედვით გამარჯვებულთა შორის აღმოჩნდნენ.

სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროსა და ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშითა და პირველი ფულადი პრემიით დაჯილდოვდა საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს გულრიფშის ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობის კოლექტივი.

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ლილოს რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხნის კოლექტივმა მოიპოვა სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსა და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკისა“ და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და პირველი ფულადი პრემიით დაჯილდოვდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ ბოლნისის განყოფილების კოლექტივი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პოროლითებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ფოთის № 2 რისკილკომბინატის კოლექტივმა მოიპოვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადების სახელმწიფო კომიტეტისა და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. (საქდესი).

კომუნისტი — სიუხვისათვის მებრძოლი

ქიდევ თვეზე ნაკლები დრო, და ყველას ოჯახში შეაბიჯებს ახალი წელი. მაგრამ მანამდე კვლავ ბევრია გასაკეთებელი. ქალაქისა და სოფლის მშრომელები სულ უფრო აძლიერებენ შრომისა და შენების ტემპებს, რომ ახალ წარმატებათა ესტაფეტა გადაეცეს მომავალ, ხუთწლედის მეოთხე წელს.

ეს დღეები კი სავსეა დიდმნიშვნელოვანი ამბებითა და მოვლენებით. სულ ცოტა ხნის წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა თვითეული კომუნისტის, ყველა მშრომელის ყურადღება გაამახვილა კომუნისტური მშენებლობის მეტად მნიშვნელოვან ამოცანაზე სოფლის მეურნეობის უფრო დაჩქარებულ განვითარებაზე. სწორედ ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრას, მასში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა, პარტიული ორგანიზაციების ღირსეული წვლილის შეტანას მიეძღვნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

თვითეული რაიონი, ქალაქი, მეურნეობა თუ საწარმო ამ გადაწყვეტილებებში ხედავს მოქმედების, წინსვლის კონკრეტულ გზებს. ამ გზებს უფრო აზუსტებს, ნათელს ჰფენს პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების პლენუმები, პარტიული აქტივისა და პირველადს პარტორგანიზაციათა კრებები, რომლებიც ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს.

და კომუნისტთა ეს დიდი საუბარი, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის ნიშნით იმართება, ერთხელ კიდევ თვალნათლივ მოწმობს, რომ პარტიის გეგმები ხალხის გეგმებია, რომ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობით დაინტერესებულია ყველა — როგორც სოფლის, ისე ქალაქის მშრომელნი.

პლენუმებსა და აქტივებზე, პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე კომუნისტები ხაზს უსვამენ იმას, რომ ახლა მთავარია გამოვავლინოთ და ავამოქმედოთ საზოგადოებრივი წარმოების რეზერვები ეკონომიკის ყველა დარგში, ყველა საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობაში, ყველა საწარმოში, ფერმასა და ბრიგადაში... საჭიროა მცირე დანახარჯებით მივდგეთ პროდუქტების მაქსიმალური წარმოებას, სოფლის მეურნეობის აღმავლობის სამსახურში ჩავაყენოთ მეცნიერების მიღწევები, ელექტროენერგია, სარწყავი თუ სხვადასხვა ტექნიკური საშუალებანი.

რეზერვების გონივრული გამოყენება კი წარმოუდგენელია თვით მშრომელთა მონაწილეობის გარეშე. ამიტომ ახლა საჭიროა კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება, განვაზოგადოთ, დავნერგოთ ნოვატორთა და მოწინავეთა გამოცდილება. მომდინარე წელი ახალ პატრიოტულ წამოწყებათა მხრივ მეტად უხვი იყო. შეიძსწავლოთ და გავავრცელოთ ეს გამოცდილება, გამოვიყენოთ ყველა ის საუკეთესო, რაც შექმნეს ნოვატორებმა და მოწინავე კოლექტივებმა — აი ჩვენი პარტიული, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა.

სწორედ ამ საკითხზე ამახვილებენ ყურადღებას ახლა პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს. და ეს გასაგებიც არის. მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრების ხუთწლიანი გეგმის დავალებათა ვადამდე და წარმატებით შესრულებისათვის, მეტი პროდუქტების წარმოებისათვის სათავეში უდგანან პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები.

ყოველდღიურად სარედაქციო ფოსტას მოაქვს წერილები და კორესპონდენციები, რომლებიც კმაყოფილებით მოგვითხრობენ, რომ რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში უკვე დაიწყო პრაქტიკული ბრძოლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეული აღნიშვნისათვის გაწეულ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის შემდეგ კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდა, ზედიზედ წარმატებებს აღწევენ ბოლნისელი მეთამბაქოეები თუ წითელწყაროელი მხვნელ-მთესველები, აჭარელი მეციტრუსეები თუ ბორჯომელი მეცხოველეები...

კომუნისტები კი საქმის სული და გული არიან. მათ კარგად ესმით თავიანთი მისია, რომ როგორც ყოველთვის, ახლაც შასების ავანგარდში უნდა იყონ, გამოიჩინონ მეტი ინიციატივა, დაჭიდონ ტექნიკური პერსონალი ავპირებს გაფიცვის გამოცხადებას, თუ ადმინისტრაცია არ დაკმაყოფილებს მათ მოთხოვნას ხელფასის მომატების შესახებ.

ქართული მარგანეცის ქალაქში — ჭიათურაში ჩქარი ტემპებით მიმდინარეობს ახალი საფლოტაციო კომპლექსის მშენებლობა. ეს ობიექტი საკავშირო მნიშვნელობის მშენებლობად არის გამოცხადებული. გეგმით ობიექტი საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს მომავალი წლის დასაწყისში, მაგრამ მშენებლებმა გადასინჯეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს მშენებლობა ვადამდე, მიმდინარე წლის 20 დეკემბრისათვის დაასრულონ. ახალი საფლოტაციო კომპლექსის საექსპლოატაციოდ გადაცემის შედეგად ნარჩენები გადამუშავდება სრულფასოვან მარგანეცად. ეს საშუალებას იძლევა ყოველწლიურად მიღებულ იქნას 270 ათასი ტონა დამატებითი მარგანეცი. სურათებზე: მოწინავე მემონტაჟეები (მარცხნიდან) ო. სამხარაძე, მ. ტორგაშევი, რ. მოდებაძე და ს. ეგოროვი; ქვემოთ — ერთ-ერთი საამქროს მონტაჟი.

ფოტო ა. მაჭავარიანისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

გარდაბნელ მეკონსერვეებთან

გარდაბანი. (საკ. კორ.). ტომატი, საწებელი, ბადრიჯანის კონსერვი, ალუბლის, მარწყვის, ვაშლის, კომშის, ასკილის წვენები, მჟრამბები, კიტრის პიკული, ხალვა — აი გარდაბნის საკონსერვო კომბინატის (დირექტორი ს. ჭანტურია) პროდუქციის არასრული დასახელება.

მეკონსერვეებმა წელს 3.400 ტონა პამიდორი გადაამუშავეს და მილიონ 400 ათასი პირობითი ქილა ტომატპასტა დაამზადეს. გარდა ამისა, გამოშვებულია 420.000 პირობითი ქილა ნატურალური წვენები, 50.000 პირობითი ქილა ბადრიჯნის კონსერვი და სხვ.

კომბინატის კოლექტივმა პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება უკვე დიდი გადაჭარბებით შეასრულა. მნიშვნელოვნად გაზარდა ტექნიკურ-ეკონომიური ჩარჩენებლები. ეს იმის შედეგია, რომ აქ ამ ბოლო დროს მრავალი სიახლე დაინერგა. აქედან განსაკუთრებით აღსანიშნავია ტომატის გადამმუშავებელი ახალი ხაზი. ამ დანადგარის წარმადობა დღეღამეში 160 ტონაა. გარდა ამისა, დაამონტაჟეს და სისტემაში მოიყვანეს ხალვის მისაღები დანადგარ-მოწყობილობა. წელს ამ დანადგარით მეკონსერვეები 60 ტონა ხალვას დაამზადებენ.

ა. ნ. კოსიგინი ესაუბრა ლი დიუ ენს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა 3 დეკემბერს კრემლში მიიღო კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე ლი დიუ ენი, რომელიც მონაწილეობს საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში.

ა. ნ. კოსიგინსა და ლი დიუ ენს შორის გაიმართა საუბარი საბჭოთა კავშირ-კორეის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე. საუბარმა გულითად, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

□ □ □

ჩვენი ქვეყნის ვალუტის საამქრო

მაგადანი, 3 დეკემბერი. (საკდესის კორ.). დღეს კოლიმისა და ჩუკოტკის მშრომელებმა აღნიშნეს მაგადანის ოლქის შექმნის 15 წლისთავი.

ოლქს სამართლიანად უწოდებენ ჩვენი ქვეყნის ვალუტის საამქროს. ოქროს მოპოვებასთან ერთად აქ ინტენსიურად ამუშავებენ კალის, ვერცხლისწყლის, ვოლფრამის, ქვანახშირის საბადოებს. თხუთმეტ წელიწადში მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება ოლქში 2,3-ჯერ გაიზარდა, მემცენარეობისა — თითქმის სამჯერ.

იზრდება და მშვენდება კოლიმისა და ჩუკოტკის ქალაქები და დაბები. განვლილ წლებში ჩრდილოეთის ამ მხარეში აშენდა 1.200 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ახალი საბჭოს პირველი გადაწყვეტილებანი

8 დეკემბერს მოსკოვში გაიმართა სახალხო უნივერსიტეტების ცენტრალური საბჭოს პირველი სხდომა. საბჭო შეიქმნა იმისათვის, რომ კოორდინაცია უყოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას სახალხო უნივერსიტეტების ხელმძღვანელობასთან, გაუწიოს მათ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, განავითაროს საზოგადოებრივი საწყისები მათს საქმიანობაში.

სხდომაზე მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სახალხო უნივერსიტეტების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ და სახალხო უნივერსიტეტების ცენტრალური საბჭოს ამოცანები“ გააკეთა საბჭოს თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ი. ი. არტობოლევსკიმ. მან ხაზი გაუსვა, რომ პარტია დიდ ყურადღებას უთმობს სახალხო უნივერსიტეტებს, რადგან ისინი მარქსისტ-ლენინიზმის პროპაგანდის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ფორმად მიაჩნია. 1968 წლის 8 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მიღებული დადგენილება მოასწავებს ახალი ეტაპის დაწყებას ამ საზოგადოებრივი სასწავლებლების საქმიანობაში.

პირველ სხდომაზე დაამტკიცეს დებულება სახალხო უნივერსიტეტების საზოგადოებრივი საბჭოების შესახებ. ასეთი საბჭოები იქმნება მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, ქალაქებსა და რაიონებში. სამინისტროებთან, უწყებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ითანამშრომლებს სახალხო უნივერსიტეტების ხელშეწყობი საბჭოები.

ცენტრალურმა საბჭომ გადაწყვიტა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად 1969 წლის იანვრიდან 1970 წლის აპრილამდე მოაწყოს სახალხო უნივერსიტეტების სრულიად საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერება.

სხდომაზე დაამტკიცეს ავრეთვე დებულება სახალხო უნივერსიტეტების სრულიად საკავშირო საპატიო წიგნის შესახებ, მიიღეს გადაწყვეტილება მომავალი წლის მარტში გაიმართოს სახალხო უნივერსიტეტების აქტივის სრულიად საკავშირო თათბირი. (საკდესი).

1.200 ათასი კილოვატი სიმძლავრის...

ქაშირა. მოსკოვის ოლქი (საკდესი). საბჭოთა ენერგეტიკის პირმშო ქაშირის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში ქსელში ჩართეს 300 ათასი კილოვატი სიმძლავრის მორიგი ენერგობლოკი. ამ ბლოკის ამუშავების შემდეგ სადგურის სიმძლავრემ 1.200 ათას კილოვატს მიაღწია. ამრიგად, ლეგენდარული „კაშირკა“ ასჯერ უფრო „ძლიერი“ გახდა იმ ელექტროსადგურზე, რომელიც აშენდა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში.

მანგანუმის ხარისხი და ავტომატიკა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმებით დასახულია მნიშვნელოვნად გაიზარდოს მალადხარისხოვანი მანგანუმის კონცენტრატების წარმოება მეტალურგიის საჭიროებისა და სხვა მოზნებისათვის. ეს ამოცანა წარმატებით წყდება ჭიათურის მანგანუმის აუზში. „ჭიათურმანგანუმის“ ტრესტის თანამშრომლებმა რუსთავის „ავტომატმრეწვის“ ინსტიტუტის სპეციალისტებთან ერთად შეასრულეს მანგანუმ-გამამდიდრებელი ფაბრიკების საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის სისტემების კვლევის, დამუშავებისა და დანერგვის სამუშაოთა დიდი კომპლექსი.

ავტომატიზაციის სისტემებისა და სხვა ტექნიკურ სიახლეთა დანერგვამ ტრესტის კოლექტივს საშუალება მისცა გაეუმჯობესებინა მანქანებისა და მექანიზმების მუშაობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები, შეეცირებინა პროდუქციის თვითღირებულება, აემაღლებინა წარმოების შემდგომი ავტომატიზაციისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ახალი ამოცანები დაუსახა „ჭიათურმანგანუმის“ ტრესტს სამეურნეო რეფორმის პირობებში.

ჭიათურაში გაიმართა სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია ჭიათურის მანგანუმის აუზის სამთო გადასამუშავებელ საწარმოებში ავტომატური მართვისა და ტექნიკურ-ეკონომიურ პრობლემებზე. კონფერენცია მოაწყეს პარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტმა, რუსთავის „ავტომატმრეწვის“ ინსტიტუტმა, „ჭიათურმანგანუმის“ ტრესტმა, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნამ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის კომისიის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ინსტიტუტმა, საქართველოს სამთო მეტალურგიის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკურმა გამგეობამ.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა სამთოგამამდიდრებელ საწარმოთა სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა 200-ზე მეტი წარმომადგენელი. კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს 20-მდე მოხსენება და ინფორმაცია, რომლებიც მიეძღვნა წარმოების ავტომატიზაციის სხვადასხვა ასპექტს, სამეურნეო რეფორმას „ჭიათურმანგანუმის“ ტრესტის საწარმოებში. მაგალითად, დიდი ინტერესით მოისმინეს „ჭიათურმანგანუმის“ ტრესტის მმართველის ლ. გოშხოთელიანის, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ კ. ბარამიძის, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის შ. ორჯონიკიძის, პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნის ო. გოგატიშვილის, ტრესტის მთავარი ინჟინრის მ. აფაქიძისა და სხვების მოხსენებანი.

კონფერენციაზე დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი მანგანუმის მადნის მოპოვების, გამდიდრების, აგლომერაციის პროცესების ავტომატიზაციისა და ტელემექანიკის საშუალებათა დანერგვის შესახებ. კონფერენციაზე დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი მანგანუმის მადნის მოპოვების და გადამუშავების პროცესების შემდგომი მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის. (საქდესი).

ჩვენი დიად სამშობლოში

სახალხო ხელისუფლება

მოსკოვი, 3 დეკემბერი. (საკდესი). საბჭოთა კონსტიტუციის დღის წინ სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში გაიხსნა წიგნისა და ილუსტრაციის გამოფენა. მისი ექსპონატები ნათლად გვიჩვენებენ ჩვენს ქვეყანაში ხალხის ხელისუფლების გამარჯვებას.

ექსპოზიციაში მოყვანილია მრავლისმთქმელი ციფრი: უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები ჩვენში ორ მილიონზე მეტი კაცია, მათ შორის დაახლოებით 60 პროცენტი მუშა და გლეხია. და კიდევ ერთი შთამბეჭდავი ციფრი: სსრ კავშირში სხვადასხვა სახეობის სწავლაში ჩაბმულია 76 მილიონი კაცი.

სტენდებზე წარმოდგენილია ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა კრებულები „საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის შესახებ“, „სახელმწიფოს მართვაში მასების ჩაბმის შესახებ“, სსრ კავშირის საზოგადოებრივი წყობილების საფუძვლებისადმი მიძღვნილი მეცნიერთა ნაშრომები, რომლებიც გვიჩვენებენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საქმიანობის სხვადასხვა მხარეს.

ახალი სამხედრო დემონსტრაცია

ბონი, 3 დეკემბერი. (საკდესი). ნატოს სამხედრო სტრატეგებს განზრახული აქვთ მომავალი წლის დასაწყისი აღნიშნონ ახალი უდიდესი სამხედრო დემონსტრაციით — „საბერო ხიდის“ შექმნით შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ გერმანიას შორის ჯარების გადასაყვანად, ამას იუწყება გაზეთი ფრანკფურტერ ალგემაინე“.

როგორც გაზეთი ხაზს უსვამს, იანვარში „რეაქტიული სატრანსპორტო თვითმფრინავების „სტრალიფტერის“ ფლოტი ფედერაციულ რესპუბლიკაში გადმოიყვანს სულ ცოტა 15.000 ამერიკელ ჯარისკაცს“. ეს მანევრები იქნება ამერიკის შეერთებული შტატებიდან დასავლეთ ევროპაში ამერიკის ჯარების გადაყვანის უდიდესი ოპერაცია „ბიგ ლიფტის“ მანევრების მომენტიდან, რომელიც 1963 წლის ოქტომბერში მოეწყო.

გარდა ამისა, შეერთებული შტატებიდან დასავლეთ გერმანიაში გამოიგზავნება დამწერ ავიაგამანადგურებელთა ოთხი ესკადრილია „ფანტომის“ ტიპის 100 საბრძოლო თვითმფრინავის შემადგენლობით და, ალბათ მზვერავ თვითმფრინავთა ესკადრილია.

როგორც „ფრანკფურტერ ალგემაინე“ აღნიშნავს, ამერიკის ჯარების გადაყვანის გეგმები უკვე განიხილეს ნატოს საბჭოს ბრიუსელის სესიაზე.

შეერთებული შტატებიდან ჩამოსული ჯარები მონაწილეობას მიიღებენ მანევრებში, რომლებიც გაიმართება გრაფ ენვერის (ბავარია) პოლიგონზე.

ქართველი მეჩაიეები ინდოეთში

დელი, 8 დეკემბერი. (საკდესი). ცხრამეტ დღეს იყო ინდოეთში საბჭოთა მეჩაიეების დელეგაცია, რომელსაც საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი ვ. ი. ვადაჭკორია მეთაურობდა. ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა კავშირიდან ჩამოსულმა სტუმრებმა დაათვალიერეს ინდოეთის სხვადასხვა შტატის ჩაის პლანტაციები, დაესწრნენ ჩაის გაყიდვის აუქციონს კალკუტაში, მრავალგზის შეხვედნენ და ესაუბრნენ ინდოელ ჩაის სპეციალისტებს. გუშინ საბჭოთა დელეგაცია ეწვია ცენტრალური მთავრობის გაწალთების მინისტრს.

შეიძლება შეფერხდეს...

ლონდონი, (საკდესი). შეიძლება ჩაიფუშოს დიდი ბრიტანეთის რადიომაუწყებლობის კორპორაციის ბი ბი სის სატელევიზიო გადაცემები. ბი ბი სიში დასაქმებული ტექნიკური პერსონალი ამბობს, რომ ამ ზაფხულის ხანძრების გამო ელექტროენერგიის ხარჯვა ორჯერ გაიზარდა და ამიტომ ბი ბი სის ხელმძღვანელობამ ტელევიზიის მაუწყებლობა ორი საათით შეამცირა.

ყველა ქვეყნის პროლეტარებო, შეერთდით!
სკკპ

საჩუქარი პრაღის მცხოვრებლებს

პრაღა. კარგი საჩუქარი მიართვეს მშენებლებმა პრაღის მცხოვრებლებს. ქალაქის ცენტრში — ვაცლავის მოედანზე ამუშავდა ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში პირველი მიწისქვეშა გადასასვლელი, რომელიც აღჭურვილია ესკალატორებით. გადასასვლელი სახიდო გითარებაში გახსნა პრაღის პრიმატორმა ლ. ჩერნიმ. მიწისქვეშა დარბაზის ფართობი უდრის 3,5 ათას კვადრატულ მეტრს. აქ განლაგებულია გახეთებისა და სუვენირების კიოსკები, ვიტრინები, სადაც გამოფენილია დედაქალაქის მაღაზიების საქონლის ნიმუშები.

მიწისქვეშა გადასასვლელის გახსნის შემდეგ შვებით ამოისუნთქა ათასობით მანქანის, ავტობუსისა და ტრამვაის მძღოლმა, რომლებიც ოთხივე მიმართულებით სერავენ მოედანს (საკდესი).

აგრესიის ახალი აქტი

ნიუ-იორკი, 8 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ოორდანიის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მუჰამედ ელ-ფარამ უშიშროების საბჭოს თავმჯდომარეს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აცნობებს, რომ ისრაელის მხედრიონმა იორდანიის წინააღმდეგ მოახდინა აგრესიის ახალი აქტები, რითაც დაარღვია შეთანხმებანი ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. 1 დეკემბერს ისრაელის ტანკებმა, თვითმფრინავებმა და არტილერიამ ცეცხლი დაუშინეს დასახლებულ პუნქტებს მდინარე იორდანის ხეობაში. ამავე დროს ისრაელის შეიარაღებული ძალები ღრმად შეიჭრნენ იორდანიის ტერიტორიის სამხრეთ ნაწილში. იმავე დღეს ისრაელის თვითმფრინავებმა ბომბები დაყარეს სამოქალაქო სატვირთო მანქანებს, რომლებიც მიდიოდნენ ამან-აქაბის ნავსადგურის გზატკეცილით.

თითქმის ამავე დროს იორდანიის ტერიტორიაზე ვერტმფრინავებიდან, რომლებსაც იცავდნენ ავიაგამანადგურებლები, გადმოსხეს ისრაელის ჯარის ქვეგანაყოფი, რომელმაც აიფეთქა ბილი ავტოსატვირთველზე და რკინიგზის ხიდი.

მდინარე იორდანის ხეობის ჩრდილოეთ ნაწილში ისრაელის არტილერიამ ცეცხლი დაუშინა სოფლებს სამას, ტაბორ, შუნან შიმალას, მანშიისა და ალ-ბაგურას. არტილერიის ინტენსიური ცეცხლი დაუშინეს ავრეთვე ქალაქ ირბიდს.

8 დეკემბერს ღამის პირველ საათზე ადგილობრივი დროით ისრაელის თვითმფრინავმა ბომბები ჩამოაგდო კუფრისა და ობის რაიონში.

იორდანიის წარმომადგენელი უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ ამ პროვოკაციულ აქტებს სჩადიან მაშინ, როცა იქ ჩავიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ახლო აღმოსავლეთში გუნარ იარინგი, და ხაზს უსვამს, რომ ისრაელის მხედრიონი პირველად როდი ცდილობს ჩაფუშოს იარინგის მისია.

დროს იგვებენ

ნიუ-იორკი, 3 დეკემბერი. (საკდესი). სირხან სირხანმა, რომელიც დაპატიმრეს სენატორ რობერტ კენედის მოკვლის ბრალდებით, თავის მთავარ დამცველად სასამართლოში აირჩია ადვოკატი გრანტ კუპერი. ამას იუწყებიან ლოს-ანჯელესიდან საინფორმაციო სააგენტოები.

კუპერი, როგორც აღნიშნავენ, ცნობილია იმით, რომ ბევრ სასამართლო პროცესზე დიდი ოსტატობით იცავდა მკვლელებს.

სირხან სირხანის გასამართლება უნდა დაწყებულიყო 9 დეკემბერს, მაგრამ მისმა მეორე დამცველმა პერსონალმა ითხოვა გასამართლების დაწყება გადადონ მომავალი წლის 2 იანვრამდე. მას განწირახული აქვს მოახდინოს სირხანის ახალი სამედიცინო შემოწმება, რათა „გამოარკვიოს აგებდა თუ არა იგი პასუხს თავისი მოქმედებისათვის“, ე. ი. ცდილობს მიაღწიოს იმას, რომ ბრალდებული შეურაცხად ცნონ.

როგორც ჩანს, ამერიკის შეერთებულ შტატებში გარკვეული წრეები დაინტერესებული არიან არა მარტო იმით, რომ გაამტკიცონ რობერტ კენედის მკვლელის გასამართლება, არამედ აგრეთვე შეეცადონ მის გამართლებას.

ეძღვნება ბელადს

მოხსენებები, ლექციები, გამოფენები

ცხინვალი სარაიონო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში მოეწყო ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი სურათების ახალი გამოფენა სახელწოდებით: „ყველაზე ადამიანური ადამიანი“. დარბაზში შემსვლელის ყურადღებას იპყრობს სურათები: „ვ. ი. ლენინი და მისი დაიულია (1874 წ.), „ვ. ი. ლენინი პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის“ ხელმძღვანელ მოღვაწეთა შორის (1897 წ.), „ვ. ი. ლენინი 1918 წლის ოქტომბერში“, „ვ. ი. ლენინი აცნადებს საბჭოთა ხელისუფლებას“, „ვ. ი. ლენინი კომინტერნის I კონგრესის პრეზიდიუმში ჯრემლში“...

აქვეა ვ. ი. ლენინისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოფენა. მკითხველთა ფართო აქტივის მიზიდვის მიზნით რაიონულმა საბავშვო ბიბლიოთეკამ დააწყო კონკურსი. იგი ითვალისწინებს წიგნებით დაჯილდოებას, რომლებიც 1968 წლის აგვისტოდან 1969 წლის აპრილამდე ვ. ი. ლენინის შესახებ არსებული პოლიტიკური თუ მხატვრული ლიტერატურიდან ყველაზე მეტ წიგნს წაიკითხავენ.

ნ. დოკაძე.

ცაგერი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ინიციატივით ცაგერში გაიმართა სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავს. სესიამ განიხილა თემები: „ცაგერის რაიონის მშრომელთა წარმატებები დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავზე და ახალი ამოცანები“, „ქართველი ხალხის ბრძოლა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის“, 1905-1907 წლების რევოლუციის გამოხმაურება ლეჩხუმის მაზრაში“,

ამ თემებზე მოხსენებებით გამოვიდნენ პარტიის ცაგერის რაიკომის პირველი მდივანი კ. სილაგაძე, მეორე მდივანი ლ. ჩიქოვანი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი ვ. თოთაძე, საქართველოს დამსახურებული ექიმი დ. ნემსაძე და მუზეუმის მეცნიერი მუშაკი ჯ. სალინაძე.

ვლ. თოთაძე.

ხოგი (საქ. კორ.). პარტიის რაიონის პოლიტიკური განათლების კაბინეტის სამკითხველო დარბაზში თვალსაჩინო ადგილას დგას დაფა, რომელზეც მოთავსებულია ვ. ი. ლენინის რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი ილუსტრაციები. გამოფენის ერთ განყოფილებას ეწოდება — „ლენინის ბავშვობა და ყრმობა“, მეორეს — „ლენინი დიდი ოქტომბრის ბელადი“, მესამეს — „ლენინი — ახალგაზრდობის შესახებ“, მეოთხეს „დაუვიწყარი ილიჩი“. აქ გამოფენილია ვ. ი. ლენინის თხზულებათა ტომები, მიწერ-მოწერა და სხვა საინტერესო მასალები.

გეგეჭკორი (საქ. კორ.). პარტიის რაიონულმა კომიტეტმა ჩაატარა თეორიული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა გენიალური ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

მოხსენება — „ვ. ი. ლენინი და საქართველო“ — გააკეთა პროფესორმა დ. მაისურაძემ, „საქართველო დიდ სამამულო ომში“ — პროფესორმა ა. იოსელიანმა. გეგეჭკორის მუზეუმის დირექტორმა გ. ელიავამ ილაპარაკა თემაზე — „რაიონის მშრომელთა მონაწილეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში“.

საშობლოს ძლიერების უშრეტი წყარო

ვ. ი. ლენინი მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ

ბათა კლასის არსებობა განპირობებულია სოციალისტური საკუთრების ორი ფორმით — სახელმწიფოთა-სახალხო და კოლმეურნეო-კოოპერაციული საკუთრების არსებობით; სრული კომუნიზმი გულისხმობს უკლასო საზოგადოების აშენებას, საკუთრების მხოლოდ ერთ ფორმას — საყოველთაო-სახალხო საკუთრებას. მაშასადამე, საკოლმეურნეო საკუთრების ისტორიული პერსპექტივა მდგომარეობს მის ამაღლებაში საყოველთაო-სახალხო საკუთრების დონემდე. ყოველივე ეს კი საბოლოო იმ ბაზას, რომელიც კლასობრივ განსხვავებას ქმნის.

კომუნიზმის დროს, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის, მუშებსა და გლეხებს შორის გაქრება კლასობრივი განსხვავება და ისინი გადაიქცევიან მიწოსა და ფაბრიკის მშრომელებად, „რომლისაც საზოგადოებაში კლასები აღარ იქნებიან, — წერს ვ. ი. ლენინი, — მაგრამ საზოგადოებაში მხოლოდ მწარმოებელი მუშაკები დარჩებიან, მუშები და გლეხები აღარ იქნებიან“.

მუშათა კლასსა და გლეხობას შორის კლასობრივი ზღვარის წაშლა წარიმართება არა ატომატურად, არამედ ამ კლასებს შორის არსებული კავშირის ყოველმხრივი განმტკიცებით და გაფართოებით საწარმოო ძალთა მძლავრი განვითარებისა და ეკონომიური ურთიერთობის სრულყოფის საფუძველზე. მუშათა კლასსა და კოლმეურნე გლეხობას შორის განსხვავებათა დაძლევა, არსებითი განსხვავების მოსპობა ქალაქსა და სოფელს შორის, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის კომუნისტური საზოგადოების შენებლობის ურთუღლეს პროცესს წარმოადგენს. ამ პროცესის მთავარი ნიშანი ის არის, რომ კომუნიზმის შენებლობაში ხელმძღვანელ როლს ინარჩუნებს მუშათა კლასი.

სკკპ XXIII ყრილობამ, განსაზღვრა რა საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების შემდგომი განვითარების გზები, მიუთითა მუშებისა და გლეხების ძმური კავშირის განმტკიცების აუცილებლობაზე მომავალში, სხვა კავშირის ხალხთა მეგობრობაში კომუნიზმის აშენების ინტერესებისათვის.

ახალი ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შედეგად კიდევ უფრო გაიზრდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერება, შემდგომ განვითარდება მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, ამაღლდება საბჭოთა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურულ-ტექნიკური დონე, გაძლიერდება სოფლისადმი ქალაქის დახმარება. პარტიის XXIII ყრილობაზე ეს ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ ამ „დიდი ეკონომიური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტის შედეგად კიდევ უფრო განმტკიცდება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის პოლიტიკური საფუძველი და სსრ კავშირი ხელს შეუწყობს პრაქტიკულად ბსოციალიზმის აშენებას.

„ახლა, — ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა, უნიშნველოვანესი კოლიტიკური, საერთო-პარტიული და საერთოსახელმწიფო ამოცანა ის არის, რომ რაც შეიძლება მოკლე ვადაში გვერად გადავაპარებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანამედროვე დონეს. ამის გზაა სოფლის მეურნეობის აღჭურვა თანამედროვე სავანძანო ტექნიკით, საჭიროთა კომპლექსური მექანიზაცია, მიწების ქიმიზაცია, მელიორაცია და ნიადაგების გაუმჯობესების უახლეს მიღწევათა ფართოდ დანერგვა, ბევრი რამ უნდა გაკეთდეს აბრძოლ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების რეზერვების სრული გამოყენებისათვის“.

ამის მიღწევა შესაძლებელია ქალაქის მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირის შემდგომი განმტკიცებით, საბრძნველო საწარმოთა, სამშენებლო ორგანიზაციათა, სამეცნიერო-საკვლევ და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ სხვა დაწესებულებათა პარტორგანიზაციების, ინდუსტრიის კომუნისტთა ენერგიული თავდადებული მუშაობით.

საბჭოთა ხალხის გმირული შრომისა და ბრძოლის ისტორია, მისი მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ლენინური იდეების შეიმნა. კომუნისტური პარტია ყველაზე დაუღალავად განამტკიცებს მუშათა და გლეხთა კავშირს, როგორც მთავარ ძალას კომუნიზმის მშენებლობისათვის.

მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ ვ. ი. ლენინის მოძღვრების სისწორე, ძალა და ცხოველმყოფელობა დადასტურებულია ჩვენი ქვეყნის სამი რევოლუციის გამოცდილებით, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკით. იგი საფუძვლად დაედო სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მარქსისტულ-ლენინური პარტიების პოლიტიკასა და პრაქტიკულ მოღვაწეობას. ამ ქვეყნებში მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცების გზით ხორციელდება დიდი სოციალური და ეკონომიური ცვლილებები, სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზული ამოცანები.

ლენინის უკვდავი იდეებით შეიარაღებული კპპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები დაუღალავად იბრძვიან მუშათა და გლეხთა ჯავშირის შექმნისა და განმტკიცებისათვის, ეროვნული თავისუფლებისა და დემოკრატიის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

საბჭოთა ქვეყნის მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის მეგობრული კავშირი ჩვენი სამშობლოს ძლიერების დაუშრეტელი წყაროა, კომუნისტური საზოგადოების სრული გამარჯვების საწინდარია.

მ. ჯინჭვლაშვილი.

ვ. ი. ლენინი მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ

რედაქციის არქივი

ანმარიშგება — არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში

ფრთოელ კომუნისტთა განაწესი

ჭიათურის ქალაქის პარტიული ორგანიზაციის კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდა ქალაქის პარტკომიტეტის მდივანი ამხანაგი ნ. ჯანჯღავა.

ანგარიშგებით მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ ქალაქის პარტიული ორგანიზაცია ითვლის 1.651 წევრსა და 362 კანდიდატს. ორგანიზაციაში გაწევრიანებულია 1.500 კომუნისტი. ანგარიშგებით პერიოდში პარტიის რიგებში მიღებულია 92 ახალი წევრი და 300 კანდიდატი. ორგანიზაციიდან გარიცხულია 82 კომუნისტი.

ანგარიშგებით პერიოდში პარტიული ორგანიზაციის მუშაობა ძირითადად ეფუძნებოდა საქართველოს კპ XXIII ყრილობის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმის, ქალაქის პარტიული ორგანიზაციის მე-8 კონფერენციის გადაწყვეტილებებს.

ანგარიშგებით პერიოდში პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში იყო ის ამოცანები, რომლებიც დასახა საქართველოს კპ XXIII ყრილობამ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხუთწლედისათვის. ამ ამოცანების განხორციელებისათვის ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ძირითადი ყურადღება მიმართული იყო ქალაქის მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის, კომუნალური მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურის, სპორტის განვითარებისაკენ, ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისაკენ.

ანგარიშგებით პერიოდში ქალაქის მრეწველობის განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს წარმოების ინტენსიფიკაციას, ახალი ტექნიკის დანერგვას, ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფას. ამ მიმართულებით ქალაქის მრეწველობის ყველა დარგში გატარდა ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებები. ამის შედეგად ქალაქის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის გამოშვება 1971 წელს 1966 წელთან შედარებით გაიზარდა 1,5 მილიონ მანეთზე მეტით.

ანგარიშგებით პერიოდში ქალაქის მრეწველობის ყველა დარგში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. ამ შეჯიბრებაში აქტიურად ჩაებნენ ქალაქის ინდუსტრიის ყველა ძირითადი საწარმოს კოლექტივი. ამ საწარმოთა კოლექტივებმა ბრწყინვალე შრომითი გამარჯვებები მოიპოვეს. ამ საწარმოთა კოლექტივებს მიენიჭათ საპატიო წოდება „კომუნისტური შრომის კოლექტივი“.

ანგარიშგებით პერიოდში ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში იყო ქალაქის მშენებლობის ინტენსიფიკაციის, ახალი ტექნიკის დანერგვის, მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების გაფართოების, მშენებლობის ხარისხის ამაღლების საკითხები. ამ მიმართულებით ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ძირითადი ყურადღება მიმართული იყო ქალაქის ცენტრალური ნაწილის, ქალაქის ახალი უბნების, ქალაქის ახალი საცხოვრებელი მასივების მშენებლობისაკენ.

ანგარიშგებით პერიოდში ქალაქის მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდების გაფართოების, ახალი ტექნიკის დანერგვის, მშენებლობის ხარისხის ამაღლების საკითხები განიხილებოდა ქალაქის პარტკომიტეტის პლენუმებზე, ქალაქის პარტიული ორგანიზაციის კონფერენციაზე, ქალაქის პარტკომიტეტის ბიუროს სხდომებზე.

ანგარიშგებით პერიოდში ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში იყო ქალაქის ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, კომუნალური მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურის, სპორტის განვითარებისაკენ, ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისაკენ.

ანგარიშგებით პერიოდში ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში იყო ქალაქის ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, კომუნალური მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურის, სპორტის განვითარებისაკენ, ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისაკენ.

ანგარიშგებით პერიოდში ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში იყო ქალაქის ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, კომუნალური მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურის, სპორტის განვითარებისაკენ, ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისაკენ.



თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას. ფაბრიკაში თავი გამოიჩინა კომკავშირელმა მქსოვველმა ნ. ჭკადუამ, რომელიც ყოველდღიურ დავალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს. სურათზე: ნ. ჭკადუა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სკოლა და ცხოვრება

ნორჩების გასაჯარაზე

თბილისიდან სოხუმისაკენ მიმავალი მგზავრი აუცილებლად გაიცლის კოლხიდის ცენტრს — ხობის რაიონს. იგი ადვილად შეამჩნევს რაიონულ ცენტრში ბაღნარ ადგილზე აღმართულ სამსართულიან ლამაზ შენობას. ამით წელს გაახარეს ნორჩები მშენებლებმა. ახალ სასწავლო წელს შეიღებ პირველად ქარი მეორე სართულიან სკოლის მოსწავლეებმა. ამ შენობას, რომელიც 480 მოსწავლისათვის არის განკუთვნილი აქვს 24 საკლასო ოთახი, სასპორტო და საიქტო დარბაზები, ცენტრალური გათბობა. მშენებლობა 140 ათასი მანეთი დაჯდა. მშენებლობის ხარჯები საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ გაიღო.

ამავე რაიონის სოფელ საჩინოში წელს პირველად დაირეგა სკოლის ზარი ახალ სამეალო სკოლის შენობაში. ასრულდა საჩინოელ მოსწავლეთა დიდი ხნის ნატვრა. მოსწავლეები დღედღე უვარგის საკლასო ოთახებში სწავლობდნენ. ახლა კი ორსართულიანი კაპიტალური შენობის ნათელ და ფართო ოთახებში მიესხდნენ ახალ მერხებს.

მოხნდნენ აქ მშენებლები. მთა სოფელში ამოიტანეს საშენი მასალები, ტექნიკა, და სულ მალე ადგე წლიანი სკოლის ორსართულიანი ტიპური შენობა, რომელშიც 192 მოსწავლე ისწავლის.

საჩინოს სოფელ საჩინოში წელს პირველად დაირეგა სკოლის ზარი ახალი სამეალო სკოლის შენობაში. ასრულდა საჩინოელ მოსწავლეთა დიდი ხნის ნატვრა. მოსწავლეები დღედღე უვარგის საკლასო ოთახებში სწავლობდნენ. ახლა კი ორსართულიანი კაპიტალური შენობის ნათელ და ფართო ოთახებში მიესხდნენ ახალ მერხებს.

ვინ არიან ამ ახალი სკოლის მშენებლები? ვინ გაახარა ნორჩები?

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მეორე სამშენებლო სამმართველოს კოლექტივი, (უფროსი ა. ხასაია), რომელიც ბიუჯეტის თანხებით აშენებს საცხოვრებლებს, სკოლებს, საბავშვო ბაღებს, ფაბრიკა-ქარხნებს.

აღნიშნული მშენებლები ახლა ზუგდიდში სწრაფი ტემპით აშენებენ მეშვიდე საშუალო სკოლას, საბავშვო ბაკ-ბაღის შენობას ცენტრალური გათბობით და ნათელი კაბინეტებით 280 ბავშვისათვის. ახალ კახთასა და ჯიხაშკარში შენდება საშუალო სკოლის ორსართულიანი შენობები, კოკის საშუალო სკოლას მიუშენებენ 16 ოთახსა და სპორტდარბაზს.

სწრაფი, იაფი და ხარისხოვანი შენებისათვის მარკვენას უქნებენ სამმართველოს უფროსს სამუშაოთა მწარმოებელს მ. ხასაიას, სამუშაოთა მწარმოებლებს ვ. ბერიშვილს და გ. შონიას, ოსტატებს ა. ამერაშვილს, ვ. ეზურბაიას, ჯ. ბენდელიანს. მწყობელებს ა. კურტანიძეს, ვ. კოხნის, ვ. ხაინაძეს, მებათქაშეებს ვ. გელაშვილს, ი. მჭედლიშვილს, მ. დოლაშვილს, დურგლებს ს. შარაშკოს, ს. გოგოხიას, ვ. ნემსიწვერიძეს, გ. ხარამაშვილს და სხვებს.

მრავალი ნათელი და ლამაზი შენობა აუშენებინოთ მათ ჩვენი ნორჩების გასახარად.

გ. ნოდია,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

წიგნები და მკითხველები

საქართველოს ჰიდროელსადგურები

ენერგეტიკა

წიგნი მთავრდება საქართველოს ელექტროენერგეტიკის განვითარების უახლოესი პერსპექტივის განხილვით. ავტორი შეძენილი გამოცდილების საფუძველზე იძლევა მეტად საყურადღებო რეკომენდაციებს ჰიდროენერგომშენებლობის განვითარებისათვის. ნაშრომი ილუსტრირებულია ფოტოსურათებით, ნახაზებით, დიაგრამებით, დაწერილია სასაუბრო ენით და მას სიამოვნებით წაიკითხავს ყველა სპეციალისტიცა და არასპეციალისტიც.

„ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა საქართველოში“ მონოგრაფიული ხასიათისაა და საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისა და ექსპლოატაციის საქმეში შეძენილი მდიდარი მასალის განზოგადების პირველ ცდას წარმოადგენს.

წიგნი დიდად დაეხმარება ამ დარგში მომუშავე სპეციალისტებს, მეცნიერ მუშაკებს, სტუდენტებს.

პ. შენგელია.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი.

დიადი მემკვიდრეობა

სამხედრო ხელოვნება

უკანასკნელ წლებში ჩვენი ქვეყნის გამომცემლობებმა გამოაქვეყნეს ლენინის სამხედრო მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ბევრი მეცნიერული შრომა. ამ გამოცემათა რიგში საპატიო ადგილი უჭირავს რუსულ ენაზე გამოსულ წიგნს „ვ. ი. ლენინი და საბჭოთა შეიარაღებული ძალები“, რომელიც შექმნა ვ. ი. ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის მეცნიერთა დიდმა კოლექტივმა.

ეს დიდი კოლექტიური ნაშრომია, რომელიც ჩვენს სამხედრო-ისტორიულ მეცნიერებაში დიდ მნიშვნელოვან წვლილს წარმოადგენს.

ვ. ი. ლენინმა ახალ ისტორიულ პირობებში განავითარა მარქსიზმის მოძღვრება ომისა და არმიის შესახებ, გაამდიდრა იგი შესანიშნავი მეცნიერული აღმოჩენებით. მან მარქსისტულ თეორიაში პირველად დაამუშავა სოციალისტური სამშობლოს დაცვის ძირითადი საკითხები, დაასაბუთა სოციალისტური რევოლუციის სამხედრო პროგრამა, ჯარების მშენებლობის, აღზრდისა და სწავლების თეორიული საფუძვლები და ძირეული პრინციპები, ჩამოაყალიბა საბჭოთა სამხედრო მეცნიერების უმნიშვნელოვანესი თეორიული დებულებანი.

წიგნის ავტორებს სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ მათ ღრმად გააშუქეს ვ. ი. ლენინის სამხედრო მოღვაწეობის ბევრი თეორიული და პრაქტიკული საკითხი, რომლებიც წინათ საკმაო სისრულით არ იყო გამოკვლეული.

დადებითია ის ფაქტიც, რომ წიგნის ავტორები ვ. ი. ლენინის სამხედრო-თეორიულ მოღვაწეობასთან ერთად გვიჩვენებენ ვ. ი. ლენინის ტიტანურ პრაქტიკულ მუშაობას საბჭოთა შეიარაღებული ძალების შექმნისა და განმტკიცებისათვის, უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და შინაგანი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის წლებში მათი საბრძოლო მოქმედების ხელმძღვანელობისათვის.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების ძირეული თავისებურება, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, იმაში მდგომარეობს, რომ ისინი შობილი არიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით, წარმოადგენენ საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენს, იცავენ მშრომელი მასების ინტერესებს.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების განსაკუთრებულ თავისებურებად ვ. ი. ლენინს მიაჩნდა ავრეთვე ის, რომ მათი ძალისა და უძლეველობის წყაროა პირადი შემადგენლობის მაღალი შეგნებულობა, რომ ჩვენი არმია სსრ კავშირის ხალხთა ძმობისა და მეგობრობის არმიაა, რომ იგი აღზრდილია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

წიგნი შეიცავს იმ ბრძოლის ძირითად ეტაპების ღრმა გამოკვლევას, რომელსაც ეწეოდა კომუნისტური პარტია ვ. ი. ლენინის მეთაურობით წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის შექმნისა და განმტკიცებისათვის.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ამ წიგნის ქართულ ენაზე თარგმნა, მით უფრო, რომ იგი ნავარაუდევია მასობრივი გამოსვლისათვის.

ა. ბერიძე,

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, თადარიგის პოლკოვნიკი.

საქართველოს ჰიდროელსადგურები

ენერგეტიკა

ცალკე განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის საქართველოს ენერგეტიკული სისტემა და ელექტროგადამცემი ხაზები, სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია.

წიგნში ბევრეთი მოკლედ არის დასაბუთებული საქართველოს იმ სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, საპროექტო ორგანიზაციების, მეცნიერების, დამპროექტებლებისა და მშენებლების მუშაობა, რომლებსაც ასე თუ ისე რაიმე აკავშირებთ საქართველოს წყლის ენერგიის გამოყენებასთან.

ARCHIVE http://Archivebeta.Sakdigital.ge

მსოფლიო დღეს

საქართველო

ქრონიკა • პროგლემები • ერთობა

ბოლო მოეღოს აგრესიას

ნიუ-იორკი, 3 დეკემბერი. (საკადრისი). დისკუსიის დროს, რომელიც ამ დღეებში მიმდინარეობდა არაბ ლტოლვილთა დახმარების საკითხზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალური პოლიტიკურ კომიტეტში გამოვლინდა ახლო აღმოსავლეთის საკითხის მოწესრიგებისადმი მიდგომის ორი პრინციპულად დაპირისპირებული პოზიცია.

ისრაელ აგრესორთა დასავლელი მფარველები სჯერდებიან პირფერულ ფილანტროპიულ მოწოდებებს და არაბ ლტოლვილთა სასარგებლოდ ნებაყოფლობითი შესაწირავების შეგრთვებას". **უგულებელყოფენ რა იმ ფაქტს, რომ ასეულ ათასობით** არაბის გაუბედურებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ მხოლოდ ისრაელ აგრესორებს, ნატოს ქვეყნების წარმომადგენლები არსებითად ამართლებენ ისრაელის მიერ არაბული ტერიტორიების ოკუპაციას. სწორედ ასეთი იყო ბრიტანელი დელეგატის გუშინდელი გამოსვლა.

ამავე დროს სოციალისტური ქვეყნებისა და ბევრი ახალგაზრდა განვითარებადი სახელმწიფოს წარმომადგენლები ადგანან პრინციპულ პოზიციებს, მოითხოვენ ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის ნამდვილ მშვიდობიან მოწესრიგებას, რაც ადგილობრივი მოსახლეობის მომავლის გარანტია იქნებოდა.

მაგალითად, იუგოსლავიის წარმომადგენელმა ა. ვრატუშამ გუშინ ხაზი გაუსვა, რომ საკითხის რადიკალური გადაწყვეტის ერთადერთი საშუალებაა უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის განუხრელი დაცვა, რომელიც, როგორც ცნობილია, ითვალისწინებს ისრაელის საოკუპაციო ჯარების გაყვანას დაპყრობილი არაბული ტერიტორიებიდან. მატერიალურმა დახმარებამ, რომლის გაწევასაც ცდილობს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არაბი ლტოლვილებისათვის, რომელმაც სახლკარი დაკარგეს ისრაელის აგრესიის შედეგად, შეიძლება ცოტა ხნით შეამსუბუქოს ლტოლვილთა გარკვეული ნაწილის ხვედრი. მაგრამ ასეთი დახმარება დროებითია და უადრესად შეზღუდული ღონისძიებაა.

ისრაელის აშკარა უქსპანსიონისტური ზრახვები ახლო აღმოსავლეთში გადაჭრით დაგმო აგრეთვე ტუნისის წარმომადგენელმა მ. მესტირიმ, რომელმაც მოითხოვა ბოლო მოუღონ ტელ-ავივის უკანონო ცდებს აყაროს არაბი მოსახლეობა მამაპაპეული მიწებიდან და შექმნას „ისრაელის დიდი სახელმწიფო ნილოსიდან ევფრატამდე".

ნიქსონის ახალი თანაშემწე

ნიუ-იორკი, 2 დეკემბერი. (საკადრისი). დღეს ამერიკის შეერთებული შტატების ახალი მთავრობის დროებითს შტაბ-ბინაში, ნიუ-იორკის სასტუმრო „პიერში" პრეზიდენტმა ნიქსონმა გამოაცხადა, რომ ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ჰენრი კისინგერი დანიშნა თავის თანაშემწედ ეროვნული უშიშროების საკითხებში.

გამოვიდა რა პრეს-კონფერენციაზე, ნიქსონმა ხაზი გაუსვა, რომ კისინგერის ამოცანა იქნება „სრული რეორგანიზაცია და გადასინჯვა უშიშროების საკითხთა დაგეგმვის მთელი მანქანისა" თეთრ სახლში. იგი პრაქტიკულად იქნება პრეზიდენტის, ახალშეწიფო დეპარტამენტისა და თავდაცვის სამინისტროს დამკვირვებელი რგოლი, თქვა ნიქსონმა.

ნიქსონმა აღნიშნა აგრეთვე, რომ „ეროვნული უშიშროების საბჭო განახლდება და რაციონალიზებულ იქნება".

იმედი მაქვს, თქვა შემდეგ ნიქსონმა, უფრო ხშირად და რეგულარულად შეეხვედ ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრებს.

1956-60 წლებში ჰენრი კისინგერი იყო კონსულტანტი ამერიკის შეერთებული შტატების შტაბების უფროსთა კომიტეტში. 1961-62 წლებში — იგი ეროვნული უშიშროების საბჭოს კონსულტანტი, აგრეთვე განიარაღებისა და შეიარაღებისადმი კონტროლის სააგენტოს კონსულტანტია. პროფესორი კისინგერი ავტორია მთელი რიგი წიგნებისა და სტატიებისა სამხედრო საკითხებზე, ატომური სტრატეგიის თეორეტიკოსია.

ნიქსონმა გამოაცხადა აგრეთვე, რომ კისინგერის თანაშემწედ კადრების დარგში დაინიშნა რიჩარდ ალენი.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცკ-ის ჩეხეთის ოლქების ბიუროს სხდომა

პრაღა, 3 დეკემბერი. (საკადრისი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო გვატყობინებს, გუშინ პრაღაში ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის აღმასკომის წევრის ლ. შტროუგალის თავმჯდომარეობით გაიმართა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჩეხეთის ოლქებში პარტიული მუშაობის ხელმძღვანელი ბიუროს პირველი სხდომა. ბიუროს, რომელიც შეიქმნა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე, არის ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ჩეხეთის ოლქების პარტიული ორგანოების პოლიტიკური წარმომადგენელი.

ბიუროს პირველ სხდომაზე განიხილეს წინადადებანი და ღონისძიებანი, რომლებიც დაკავშირებულია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებასთან. ბიურომ განიხილა და მოიწონა უახლოეს პერიოდში თავისი მუშაობის გეგმა. თავის მუშაობაში ბიუროს უმთავრესად მიაჩნია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის რეზოლუციის ერთნაირად გაგებისა და შესრულების უზრუნველყოფა, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პირველადი ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებების მომზადება, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს აპარატის შექმნა.

ბიუროს წევრებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი, თუ როგორ მიმდინარეობს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგების განხილვა კრებებზე მათ ალნიშნეს, რომ კრებების უმრავლესობა დაადგა ერთნაირ პოზიციებს და მიიღო რეზოლუციები, რომლებიც მხარს უჭერენ პლენუმის დასკვნებს. მაგრამ ბიუროს წევრებმა აღნიშნეს, რომ კრებებზე დასმულ ზოგიერთ შეკითხვას დამაყოფილებელ პასუხი არ გაეცა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ზოგან ადგილი ჰქონდა რეზოლუციის ცალმხრივ გაგებას.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გამოიტანა დასკვნა, რომ საჭიროა დაგროვილი გამოცდილება უფრო სრულად გაითვალისწინონ პარტიული ორგანიზაციების შემდგომ პოლიტიკურ-ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ მუშაობაში და უფრო უშუალო გავლენა მოახდინონ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების შემდგომ მსვლელობაზე. ბიუროს გადაწყვეტა უახლოეს დროში მოაწყოს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ჩეხეთის საოლქო კომიტეტების პირველი მდივნების თათბირი.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის IX ყრილობის მონაწილეთა შესახებ

ბელგრადი, 2 დეკემბერი. (საკადრისი). იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც აქ მიმდინარეობს, დღეს მიიღო გადაწყვეტილება იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის IX ყრილობა მოიწვიოს 1969 წლის 11 მარტს. ყრილობის დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. ანგარიში იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური ორგანოების მუშაობის შესახებ VIII და IX ყრილობებს შორის განვლილ პერიოდში.

2. ი. ბროზ ტიტოს პოლიტიკური მოხსენება.

3. იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის IX ყრილობის რეზოლუციები.

4. იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის წესდება.

5. იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

ახალი ბრძოლა ჩაისთვის

ლონდონი, 3 დეკემბერი. (საკადრისი). ინდოეთის ჩაის ექსპორტიორთა ასოციაციის ლონდონის ოფისის ხელმძღვანელის ბ. ბანერჯის განცხადებით, ინდოეთის ჩაის ექსპორტიორები ახალ ბრძოლას იწყებენ ჩაის ბაზრის დასაბრუნებლად. ბანერჯის აზრით, ინდოეთის ჩაის ექსპორტი ამ წელს 20 მილიონ ფუნტ სტერლინგს მიაღწევს.

ბოლო მოეღოს აგრესიას

ნიუ-იორკი, 3 დეკემბერი. (საკადრისი). დისკუსიის დროს, რომელიც ამ დღეებში მიმდინარეობდა არაბ ლტოლვილთა დახმარების საკითხზე გაეროს ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში გამოვლინდა ახლო აღმოსავლეთის საკითხის მოწესრიგებისადმი მიდგომის ორი პრინციპულად დაპირისპირებული პოზიცია.

ისრაელ აგრესორთა დასავლელი მფარველები სჯერდებიან პირფერულ ფილანტროპიულ მოწოდებებს და არაბ ლტოლვილთა სასარგებლოდ ნებაყოფლობითი შესაწირავების შეგრთვებას". **უგულებელყოფენ რა იმ ფაქტს, რომ ასეულ ათასობით** არაბის გაუბედურებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ მხოლოდ ისრაელ აგრესორებს, ნატოს ქვეყნების წარმომადგენლები არსებითად ამართლებენ ისრაელის მიერ არაბული ტერიტორიების ოკუპაციას. სწორედ ასეთი იყო ბრიტანელი დელეგატის გუშინდელი გამოსვლა.

ამავე დროს სოციალისტური ქვეყნებისა და ბევრი ახალგაზრდა განვითარებადი სახელმწიფოს წარმომადგენლები ადგანან პრინციპულ პოზიციებს, მოითხოვენ ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის ნამდვილ მშვიდობიან მოწესრიგებას, რაც ადგილობრივი მოსახლეობის მომავლის გარანტია იქნებოდა.

მაგალითად, იუგოსლავიის წარმომადგენელმა ა. ვრატუშამ გუშინ ხაზი გაუსვა, რომ საკითხის რადიკალური გადაწყვეტის ერთადერთი საშუალებაა უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22 ნოემბრის რეზოლუციის განუხრელი დაცვა, რომელიც, როგორც ცნობილია, ითვალისწინებს ისრაელის საოკუპაციო ჯარების გაყვანას დაპყრობილი არაბული ტერიტორიებიდან. მატერიალურმა დახმარებამ, რომლის გაწევასაც ცდილობს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არაბი ლტოლვილებისათვის, რომელმაც სახლკარი დაკარგეს ისრაელის აგრესიის შედეგად, შეიძლება ცოტა ხნით შეამსუბუქოს ლტოლვილთა გარკვეული ნაწილის ხვედრი. მაგრამ ასეთი დახმარება დროებითია და უადრესად შეზღუდული ღონისძიებაა.

ისრაელის აშკარა უქსპანსიონისტური ზრახვები ახლო აღმოსავლეთში გადაჭრით დაგმო აგრეთვე ტუნისის წარმომადგენელმა მ. მესტირიმ, რომელმაც მოითხოვა ბოლო მოუღონ ტელ-ავივის უკანონო ცდებს აყაროს არაბი მოსახლეობა მამაპაპეული მიწებიდან და შექმნას „ისრაელის დიდი სახელმწიფო ნილოსიდან ევფრატამდე".

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცკ-ის ჩეხეთის ოლქების ბიუროს სხდომა

პრაღა, 3 დეკემბერი. (საკადრისი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო გვატყობინებს, გუშინ პრაღაში ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის აღმასკომის წევრის ლ. შტროუგალის თავმჯდომარეობით გაიმართა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჩეხეთის ოლქებში პარტიული მუშაობის ხელმძღვანელი ბიუროს პირველი სხდომა. ბიუროს, რომელიც შეიქმნა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე, არის ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ჩეხეთის ოლქების პარტიული ორგანოების პოლიტიკური წარმომადგენელი.

ბიუროს პირველ სხდომაზე განიხილეს წინადადებანი და ღონისძიებანი, რომლებიც დაკავშირებულია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებასთან. ბიურომ განიხილა და მოიწონა უახლოეს პერიოდში თავისი მუშაობის გეგმა. თავის მუშაობაში ბიუროს უმთავრესად მიაჩნია ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის რეზოლუციის ერთნაირად გაგებისა და შესრულების უზრუნველყოფა, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის პირველადი ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებების მომზადება, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს აპარატის შექმნა.

ბიუროს წევრებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი, თუ როგორ მიმდინარეობს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგების განხილვა კრებებზე მათ აღნიშნეს, რომ კრებების უმრავლესობა დაადგა ერთნაირ პოზიციებს და მიიღო რეზოლუციები, რომლებიც მხარს უჭერენ პლენუმის დასკვნებს. მაგრამ ბიუროს წევრებმა აღნიშნეს, რომ კრებებზე დასმულ ზოგიერთ შეკითხვას დამაყოფილებელ პასუხი არ გაეცა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ზოგან ადგილი ჰქონდა რეზოლუციის ცალმხრივ გაგებას.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გამოიტანა დასკვნა, რომ საჭიროა დაგროვილი გამოცდილება უფრო სრულად გაითვალისწინონ პარტიული ორგანიზაციების შემდგომ პოლიტიკურ-ორგანიზაციულ და იდეოლოგიურ მუშაობაში და უფრო უშუალო გავლენა მოახდინონ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების შემდგომ მსვლელობაზე. ბიუროს გადაწყვეტა უახლოეს დროში მოაწყოს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ჩეხეთის საოლქო კომიტეტების პირველი მდივნების თათბირი.

ბელეტაიპის ლენტიდან

უდიდესი გენია

ქარაქასი, 3 დეკემბერი. (საკადრისი). მთელი კაცობრიობისათვის ვ. ი. ლენინი თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი გენიაა. მისი იდეები და ნაწარმოებები სჯერთაშორისო პროლეტარიატისა და კეთილდღეობისათვის, მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლი ყველა ხალხის გზის მანათობელი ვარსკვლავია, თქვა საკადრისის კორესპონდენტთან საუბარში ეურნალ „ტეორია ი პრაკსისის" გამომცემელმა, ვენესუელის გამოჩენილმა ისტორიკოსმა ფედერიკო ბრიტო ფიგეროამ.

მომავალი წლიდან, თქვა მან, ეურნალი „ტეორია ი პრაკსისი" გამოაქვეყნებს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ მასალებს და ნაწყვეტებს მისი ნაშრომებიდან. ეს იქნება ერთ-ერთი იმ მრავალრიცხოვანი საჩუქრებიდან, რომელსაც ვენესუელის მშრომელები და პროგრესული ინტელიგენცია ამზადებენ ამ დიდი ისტორიული თარიღისათვის.

საჰაეტიო დიპლომი კ. სიმონოვს

საუკეთესო წიგნისათვის 1967 წლის კონკურსის ლაურეატის საჰაეტიო დიპლომი გადასცეს 2 დეკემბერს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოში საბჭოთა მწერალს კონსტანტინე სიმონოვს.

სოციალისტური ქვეყნების ლიტერატურის კონკურსზე, რომელიც მოაწყვეს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურისა და ხელოვნების სამინისტრომ, პოლონეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ და გაზეთმა „ეღოს პრაციმ", საუკეთესო წიგნად ცნეს კონსტანტინე სიმონოვის რომანი „ცოცხლები და მკვდრები".

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს მრჩეველმა ჩ. კოვალმა, რომელმაც მწერალს გადასცა საპატიო დიპლომი, აღნიშნა, რომ 300 ათასზე მეტმა მკითხველმა უპირატესობა მიანიჭა ამ შესანიშნავ ნაწარმოებს.

საპასუხო სიტყვაში კონსტანტინე სიმონოვმა გულითადად მადლობა გადაუხადა პოლონელ მკითხველებს. საბჭოთა და პოლონელ მეომართა მეგობრობა, რომელიც იშვა ფაშიზმის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში მეორე მსოფლიო ომის დროს, თქვა მან, კიდევ ერთხელ გამოიხატა იმით, რომ საბჭოთა მწერალს მიენიჭა საპატიო დიპლომი. (საკადრისი).

გაუჩინარდა 20 ათასი მუშა

ნიუ-იორკი, (საკადრისი). გაფიცვა გამოაცხადა „კონსოლიდეიტედ ედისონის" კომპანიის 20 ათასმა მუშამ. ეს კომპანია ელექტროენერგიით ამარაგებს დიდი ნიუ-იორკის რაიონს. კონფლიქტი იმის გამო დაიწყო, რომ კომპანიამ უარი თქვა ახალ კოლექტიურ ხელშეკრულებაში შეეტანა მოთხოვნები, რომლებიც წამოაყენა კომუნალური საწარმოების მუშათა პროფკავშირმა. ახლაც, როგორც სამი წლის წინათ, ამერიკის ყველაზე დიდ ქალაქში შეიძლება სინათლე ჩაქრეს.

ეს რომ არ მოხდეს, კომპანიის მეპატრონეებმა დარაზმეს მთელი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და კონტროლიორები (სულ 4 ათასი კაცი), ენერგოაგრეგატების, სატრანსფორმატორო დანადგარებისა და სხვა ტექნიკური საშუალებათა მოსახურებისათვის.

კომპანიის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ ეძებენ შესაძლებლობებს გაფიცვის აკრძალვის სასამართლო გადაწყვეტილების მისაღებად.

ბოლო მოეღოს პოლიტიკას

ნიუ-იორკი, 3 დეკემბერი. საკადრისის კორესპონდენტი კ. ბელიაევი იუწყება:

გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ **თავის პლენარულ სხდომაზე მკაცრად დაგმო სამხრეთ აფრიკის რასისტული რეჟიმი იმის გამო, რომ იგი აპარტეიდის პოლიტიკას ახორციელებს.** 85 ხმის უმრავლესობით ორის წინააღმდეგ (თოთხმეტმა თავი შეიკავა) დელეგატებმა მოიწონეს სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის მიერ წარდგენილი რეზოლუციის პროექტი, რომელშიც „შეშფოთებით აღნიშნულია, რომ სამხრეთ აფრიკის რასისტული ხელისუფლების მთავრობა კვლავ ახორციელებს და ავრცელებს სამხრეთ აფრიკის ტერიტორიაზე აპარტეიდის პოლიტიკას".

გენერალურმა ასამბლეამ მოიწონა აგრეთვე რეზოლუცია გაეროს სამხრეთ აფრიკის ორგანიზაციის სამხრეთ აფრიკის ფონდის შესახებ და აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად და დიდმნიშვნელოვნად მიაჩნია კვლავ გაუწიოს და გაუღიდოს დახმარება, აპარტეიდის პოლიტიკის მსხვერპლთ.

გმობენ აპარტეიდის პოლიტიკას

ნიუ-იორკი, 3 დეკემბერი. საკადრისის კორესპონდენტი კ. ბელიაევი იუწყება:

გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ **თავის პლენარულ სხდომაზე მკაცრად დაგმო სამხრეთ აფრიკის რასისტული რეჟიმი იმის გამო, რომ იგი აპარტეიდის პოლიტიკას ახორციელებს.** 85 ხმის უმრავლესობით ორის წინააღმდეგ (თოთხმეტმა თავი შეიკავა) დელეგატებმა მოიწონეს სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის მიერ წარდგენილი რეზოლუციის პროექტი, რომელშიც „შეშფოთებით აღნიშნულია, რომ სამხრეთ აფრიკის რასისტული ხელისუფლების მთავრობა კვლავ ახორციელებს და ავრცელებს სამხრეთ აფრიკის ტერიტორიაზე აპარტეიდის პოლიტიკას".

გენერალურმა ასამბლეამ მოიწონა აგრეთვე რეზოლუცია გაეროს სამხრეთ აფრიკის ორგანიზაციის სამხრეთ აფრიკის ფონდის შესახებ და აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად და დიდმნიშვნელოვნად მიაჩნია კვლავ გაუწიოს და გაუღიდოს დახმარება, აპარტეიდის პოლიტიკის მსხვერპლთ.

ყო ში მინის ჭერილი

ჯანოი, 2 დეკემბერი. (საკადრისი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა ამას წინათ სამხრეთ ვიეტნამის შეიარაღებულ ძალებსა და ცენტრალური პლატოს ხალხს გაუგზავნა წერილი, რომელშიც მოულოცა გამარჯვებანი ამერიკელ აგრესორთა და მათ დამქაშთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამერიკელი იმპერიალისტები და მათი ლაქიები, ნათქვამია წერილში, რომელიც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ გადმოსცა, დამარცხდნენ რა ჩვენს ქვეყანაში, იძულებული გახდნენ უპირობოდ შეეწყვიტათ ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვა და დათანხმდნენ აწარმოონ მოლაპარაკება ჩვენი ქვეყნის ორივე ნაწილის წარმომადგენლებთან. მაგრამ მათ ხელი არ აუღიათ თავიანთ აგრესიულ გეგმებზე ვიეტნამის მიმართ. წერილი შეიცავს მოწოდებას ცენტრალური პლატოს შეიარაღებული ძალებისა და ხალხისადმი უფრო მჭიდროდ გაერთიანდნენ და განმტკიცონ მოპოვებული გამარჯვებანი, გააძლიერონ სიფხიზლე, რათა ჩაფუშონ მტრის ყველა გეგმა.

გაზეთი „ყუან დო ნიან ზანი" დღეს აშუქებს სამხრეთვიეტნამელ პატრიოტთა საბრძოლო წარმატებებს და წერს, რომ ცენტრალურ პლატოზე მოქმედი განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების რაზმებმა ამ ბოლო ათ თვეში მწყობრიდან გამოიყვანეს მტრის 80 ათასზე მეტი ჯარისკაცი, ჩამოაგდეს და დედამიწაზე მოსპეს 900-მდე თვითმფრინავი, დააზიანეს 2.800-მდე სამხედრო მანქანა და გაათავისუფლეს ასობით ეკრეთწოდებული სტრატეგიული სოფელი".

მთავრობის კრიზისი კოლუმბიაში

ბოგოტა, 2 დეკემბერი. (საკადრისი). **მორიგ კრიზისს განიცდის კოლუმბიის „ეროვნული ფრონტი", ორი მმართველი ბურჟუაზიული პარტიის — ლიბერალური და კონსერვატიული პარტიების ბლოკი, რომელიც 1958 წელს შეიქმნა. მთავრობა გადადგა მთელი შემადგენლობით. კრიზისი გამოიწვია იმან, რომ ორ კოალიციურ დაჯგუფებას შორის ჩამოვარდა უთანხმოება კონსტიტუციის რეფორმის საკითხზე.**

კონსერვატორთა ძირითად წინააღმდეგობას იწვევს პრეზიდენტ-ლიბერალის ლეერას რეკომენდაცია, რომ სენატში და წარმომადგენელთა პალატაში ადგილების რიცხვი „გაიყინოს" ახლანდელ დონეზე. კონსერვატორებს მიაჩნიათ, რომ ეს ღონისძიება საშუალებას მისცემს ლიბერალებს განამტკიცონ თავიანთი პოზიციები კოლუმბიის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, რომლის როლი უნდა გაიზარდოს იმასთან დაკავშირებით, რომ პრეზიდენტი შეპირებულია მიმდინარე წლის 16 დეკემბერს გააუქმოს საალყო წესები, რომლებიც კოლუმბიაში უკვე თითქმის 20 წელია არსებობს.

კოლუმბიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ხილბერტო ვიეირამ აღნიშნა, რომ მთავრობის ახლანდელი კრიზისი გამოიწვია აგრეთვე საკითხმა, თუ ვინ იქნება ახლანდელი პრეზიდენტის შემცვლელი, აგრეთვე კრიზისი მოწმობს, რომ ჩაიშალა ორპარტიული მართვის სისტემა. გენერალური მდივნის გაცხადებაში ხაზგასმულია, რომ უნდა განხორციელდეს არა რაღაც კერძო ცვლილებანი, არამედ მთლიანად მოისპოს ეს სისტემა და კოლუმბიაში ალდგინონ დემოკრატიული თავისუფლებანი.

კოლუმბიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მან მოუწოდა ხალხის მასებს „გააქტიურონ ბრძოლა ყველა პოლიტიკური პატიმრისა და პოლიტიკური მოტივებით დევნილ პირთა დაუყოვნებლივი და სრული ამნისტიისათვის, ყველა პარტიის თანასწორი უფლებებისათვის".

საომარი მზადების გზით

ბონი, 2 დეკემბერი. (საკადრისი). **გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელისუფლები ცდილობენ ამ ქვეყნის სამოქალაქო მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაიბან ხაომარ მზადებაში, რომელსაც ახორციელებენ, როგორც გაზეთი „ფრანკფურტერ ალგემაინე" წერს, „სამოქალაქო თავდაცვის" ქვეგანყოფებში, რომლებიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შეიქმნა საგანგებო კანონების შესაბამისად, და 70 ათასი კაცი ირიცხება.** ეს ქვეგანყოფები „დაბეჯითო ლობი მდგომარეობის" შემთხვევაში შეიძლება შეივსოს 300 ათასი სპეციალურად გაწვრთნილი „მოხალისით". გარდა ამისა „კატასტროფებისა და სტიქიური უბედურების" წინააღმდეგ საბრძოლველად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მომზადებულია კიდევ 80 ათასი კაცი.

ნეონაცისტები აქტიურდებიან

ბონი, 3 დეკემბერი. (საკადრისი). **დასავლეთ გერმანიის ნეონაცისტური ნაციონალ-დემოკრატიული პარტია ოფიციალურ ხელისუფალთა ფაქტიური წაურუნების ვითარებაში კვლავ იკრებს ძალას.**

როგორც გაზეთი „ფრანკფურტერ ალგემაინე" აღნიშნავს, ამ პარტიის წევრთა რიცხვი ამჟამად 32 ათასს შეადგენს. გაზეთი „ნოე რაინ-ციტუნგის" მონაცემებით, ნეონაცისტებს მხარს დაუჭერს დასავლეთ გერმანიის ამომრჩეველთა 10-15 პროცენტი. ემზადებიან რა ბუნდესტაგში მომავალი არჩევნებისათვის, ნაციონალ-დემოკრატიული „სამოქალაქო თავდაცვის" სისტემის შტატის თანამშრომელთა შესანახად ბონი ყოველწლიურად გამოჰყოფს 35 მილიონ მარკას. „სამოქალაქო თავდაცვის" ქვეგანყოფების შექმნისთვის კადრების მომზადებას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში განუწყვეტლივ აწარმოებს ერთი ფედერალური სკოლა, შეიდი სამხარეო სკოლა, 185 ადგილობრივი სკოლა და „სამოქალაქო თავდაცვის" 267 საწვრთნელი პუნქტი.

ქვემო საქსონიის მხარის მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრმა რ. ლენერსმა, რომელმაც პრეზიდენტმა ბრალად დასდო პორტუგალიას გამოუცხადებელი ომის წარმოება ზამბიის წინააღმდეგ. კ. კაუნდა აფრთხილებს კოლონიზატორებს, რომ აგრესიის აქტებზე ზამბია საპასუხო ღონისძიებებს განახორციელებს. ზამბიას დაუყოვნებლივ შეუძლია დარტყმითე გიპასუხოთ, წერს პრეზიდენტი.

კაუნდას აზრით, პორტუგალიელ კოლონიზატორთა პროვოკაციების მიზანია ამ ქვეყანაში შექმნან შიშისა და დაბნეულობის ატმოსფერო პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნების წინ, რომელიც 19 დეკემბერს უნდა გაიმართოს.

ამერიკელი ჯარისკაცები ვიეტნამში

ვაშინგტონი, 3 დეკემბერი. (საკადრისი). ამერიკის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ამერიკელი ჯარისკაცების რაოდენობა სამხრეთ ვიეტნამში 1968 წლის 30 ნოემბრისათვის 536.000 კაცს შეადგენდა.

ამერიკელი ჯარისკაცები ვიეტნამში

ვაშინგტონი, 3 დეკემბერი. (საკადრისი). ამერიკის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, ამერიკელი ჯარისკაცების რაოდენობა სამხრეთ ვიეტნამში 1968 წლის 30 ნოემბრისათვის 536.000 კაცს შეადგენდა.

ახალი ამბები

ანკარა, 2 დეკემბერი. (საკადრისი). აქ გაიმართა მმართველი სამართლიანობის პარტიის IV ყრილობა, რომელმაც პარტიის გენერალურ თავმჯდომარედ ხელახლა აირჩია თურქეთის პრემიერ-მინისტრი სულეიმან დემირელი. იგი ერთადერთი კანდიდატი იყო ამ პოსტზე.

ბელგრადი, 3 დეკემბერი. (საკადრისი). როგორც ტანიუგის სააგენტო იუწყება, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, განიხილა რა დღის წესრიგში შეტანილი საკითხები და მიიღო მათ შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილებანი, გუშინ მუშაობა დაამთავრა.

დელი, 2 დეკემბერი. (საკადრისი). აქ მუშაობას განაგრძობს გეოგრაფთა საერთაშორისო კონგრესი. გუშინდელ სხდომაზე მოეწყო გეოგრაფთა ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები. გეოგრაფთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტად არჩეულია პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ს. ლეშჩიცკი. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის პროფესორი ს. ვ. კოლესნიკი არჩეულია კავშირის ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტად.

ლონდონი, 3 დეკემბერი. (საკადრისი). მოხუცნი და ბავშვები გახდნენ მსხვერპლნი ისრაელის მორიგი პროვოკაციისა ირორდანიის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. როგორც რეიტერის საააგენტოს კორესპონდენტი ამბობდ ამ დღეებში, ისრაელის საოკუპაციო ჯარების ნაწილებმა ალყა შემოარტყეს ქალაქ ირბიდსა და მის მიდამოებს. ისრაელის სარდლობამ ამის შემდეგ ალყა მოხსნა ქალაქ ირბიდსა და მის მიდამოებს. ისრაელის სარდლობამ ამის შემდეგ ალყა მოხსნა ქალაქ ირბიდსა და მის მიდამოებს. ისრაელის სარდლობამ ამის შემდეგ ალყა მოხსნა ქალაქ ირბიდსა და მის მიდამოებს.

ჰავანა, (საკადრისი). კუბის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება 2 დეკემბერი აღნიშნოს როგორც ეროვნული დღესასწაული — რევოლუციური შეიარაღებული ძალების დღე.

ეს გადაწყვეტილება მიიღეს კუბის რევოლუციის ისტორიის ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით: 1956 წლის 2 დეკემბერს პატრიოტთა ჯგუფი ფიდელ კასტროს მეთაურობით იახტა „გრანმიდან" გადავიდა ორიენტის პროვინციის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე და დაიწყო პარტიზანული ბრძოლა ბატისტას დიქტატურის წინააღმდეგ.

(საკადრისი).

დამნაშავეა პოლიცია

ნიუ-იორკი, 2 დეკემბერი. (საკადრისი). **სისხლისღვრა, რომელიც ჩაიგდო ქუჩებში მოხდა მიმდინარე წლის ზაფხულში, როცა იქ მიმდინარეობდა დემოკრატიული პარტიის ყრილობა, მთლიანად პოლიციის სინდისზეა. ასეთი დასკვნა გამოიტანეს იმ მოხელეების ავტორებმა, რომელიც განსაბილველად წარუდგინეს „ჩიკაგოს სისხლისღვრის" გარემოებათა გამომძიებელ სპეციალურ კომისიას.**

მიმდინარე წლის აგვისტოში ჩიკაგოს ქუჩებში გაიმართა მასობრივი საპროტესტო დემ

ჩვენს კახეთში

გვაცნობებენ „კომუნისტის“ და „საქჩაის“ კორესპონდენტები

ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმი

გორი. (საკ. კორ.). პირველ დეკემბერს სოფელ არბოში საზეიმოდ გაიხსნა საზოგადო მოღვაწის, მწერლის და პედაგოგის ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმი.

ხალხმრავალ მიტინგზე, რომელიც მუზეუმის გახსნას მიეძღვნა, შესავალი სიტყვით გამოვიდა პარტიის გორის რაიკომის მდივანი ნ. ონიაშვილი. ლომოურის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ილაპარაკა გორის მშრომელთა დეპუტატების რაიონმასკომის თავმჯდომარემ ბ. გოცირიძემ.

სიტყვები წარმოთქვეს არბოს ნ. ლომოურის სახელობის რვაწლიანი სკოლის უფროსმა პიონერთხელმძღვანელმა მ. ციცქიშვილმა, საქ. სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა მმართველობის უფროსმა ა. კალანდარიშვილმა, საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა პოეტმა ი. ნონეშვილმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა ს. ხუციშვილმა, სოფელ არბოს მკვიდრმა 86 წლის მოხუცმა ს. მაისურაძემ, სამხრეთ ოსეთის რადიოკომიტეტის თავმჯდომარემ რ. ბეკოევამ, არბოს რვაწლიანი სკოლის მოსწავლეებმა დ. არჩუაძემ და მ. როინიშვილმა, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორმა ს. ნადიმაშვილმა, ზოოვეტერინარული ინსტიტუტის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის კათედრის გამგემ პროფესორმა ა. კიზირიამ. ისინი დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიებდნენ ნიკო ლომოურს, ლაპარაკობდნენ მისი როგორც პედაგოგის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დიდ დამსახურებაზე.

მუზეუმს გახსნის დღეს უამრავი მნახველი ჰყავდა.

სასიხარულო სიახლენი

● **ლენტეხი.** (საკ. კორ.). აქაური კოლმეურნეები დიდ მზრუნველობას იჩენენ სკოლამდელი ასაკის ბავშვებისადმი. საბავშვო ბაგა-ბაღი ბევრ მთა სოფელშია. ამას წინათ კიდევ ერთი სიახლე შეემატა ბავშვთა დაწესებულებების რაიონულ ქსელს. რცხმელურში სოფლის აქტივის ინიციატივით ააგეს საბავშვო ბაღი.

● **ტყიბული.** (საკ. კორ.). აქ ფეხს იდგამს კიდევ ერთი სიახლე — საჰაერო-საბაგირო გზა. ჭალაჭის ცენტრში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ჩასასხდომი სადგურის მშენებლობა. ეს საბაგირო გზა მეშახტეთა ქალაქს დაუკავშირებს ჯვრელაზე წარმტაც ადგილთან — ცხრა-ჯვარის სანატორიუმთან.

● **ორჯონიკიძე.** (საკ. კორ.). სოფელ ფარცხნალის ცენტრში ახლახან დამთავრდა ადმინისტრაციული შენობის აგება, სადაც მოთავსდა სასოფლო საბჭოს აღმასკომი, კოლმეურნეობის კანტორა, კლუბი, ბიბლიოთეკა და სხვა.

გამარჯვებულნი

ქართული სალხური ცეკვების შემსრულებელთა კონკურსი

თბილისის ჯ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე გაიმართა ქართული ხალხური ცეკვების ინდივიდუალურ შემსრულებელთა რესპუბლიკური კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდნენ პროფესიონალი და თვითმოქმედი მსახიობები. ამით დაამთავრა მუშაობა ქორეოგრაფთა და ქართული ხალხური ცეკვის შემსრულებელთა მესამე რესპუბლიკურმა კონფერენციამ.

კონკურსის პირველი ტური გაიმართა რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, მეორე კი — დასკვნითი ტურის წინ, რომელშიც მონაწილეობდა ასობით ქორეოგრაფიული ხელოვნების მოყვარული. დასკვნით ტურში ოპერის თეატრის სცენაზე მაყურებელთა და ეიურის წინაშე წარდგა 50-ზე მეტი შემსრულებელი.

ეიურიმ სსრ კავშირის სახალხო არტისტის, ხელმწიფო პრემიის ლაურეატის ი. სუხიშვილის მეთაურობით დაადგინა:

„ქართულის“ შესრულებისათვის პირველი ადგილი და ოქროს მედლები მიენიჭათ ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის სოლისტებს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებს ი. დოლაბერიძესა და ფ. სულაბერიძეს. ნიჭიერმა მოცეკვავემ სულაბერიძემ ერთხმად მიიღო უმაღლესი შეფასება — 10 ბალი. მან მიიღო ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის სახელობის სპეციალური პრიზი, რომელიც საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმმა დააწესა. ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ პროფესიონალი მოცეკვავეები, აგრეთვე ამ ანსამბლის წევრები ჯ. ბერაძე და ჯ. ნავროზაშვილი „მთიულურის“ შესრულებისათვის.

მოყვარულთა შორის ოქროს მედლები მოიპოვეს თბილისელმა მოცეკვავეებმა ლ. ქართველიშვილმა — ცეკვა „ქართულისათვის“, ო. ხუბავევმა — ოსური „ნარნარისათვის“, ლ. მოსიაშ და რ. ბახტაძემ — „მთიულურისათვის“.

მეორე ადგილები და ვერცხლის მედლები მიენიჭათ თბილისელებს: მ. ჟორჟოლაძეს — ცეკვა „ქართულისათვის“, მ. ხადურს, ლ. ცომაიასა და ნ. გუგულიშვილს —„სამაიასათვის“, აჭარის ასს რესპუბლიკის წარმომადგენლებს ნ. გოცირიძეს, ი. კუკულაძესა და მ. შრიმპს „განდაგანის“ შესრულებისათვის, გ. ჩახავას, ვ. კობრავას, თ. გოგიტიძეს — „ხორუმისათვის“, აგრეთვე ნ. ჯაუელს — „განდაგანისათვის“ დარ. ჯანიშვილს — „ქართულისათვის“.

მე-3 ადგილები და ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს აჭარის წარმომადგენლებმა — „ხორუმის“ შემსრულებლებმა — ლ. და ე. ხალვაშებმა, ხ. გაბაიძემ, თ. ჯახუტაშვილმა, თ. ბექანიძემ და ო. კობახიძემ, თბილისელმა მოცეკვავეებმა — მ. ცისკარიძემ, თ. უშარაშვილმა, ჯ. დარჩიაშვილმა „ქართულის“ შესრულებისათვის, თ. ცხაკაიამ და მ. აბაზაძემ „სამაიას“ შესრულებისათვის, ვ. ლანჩავამ — ოსური „ნარნარის“ შესრულებისათვის.

დიპლომებით დაჯილდოვეს ჭიბონზე ხალხური მელოდიების საუკეთესო შესრულებლები —აკო მაპანატორი ზ. ბერიძე (აჭარა) და მთელი რიგი ახალგაზრდა მოცეკვავეები. (საქდესი).

• • •

სურათზე: ქართული ხალხური ცეკვების ინდივიდუალურ შემსრულებელთა რესპუბლიკური კონკურსის ლაურეატები იამზე დოლბერიძე და ფრიდონ სულაბერიძე ასრულებენ ცეკვას „ქართულს“.

ფოტო ზ. ფიჩხაძისა.

□

მშრომელთა სამსახურში

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ქალაქის ცენტრში — საბჭოთა ჯარშირის გმირის ა. ბებიაშვილის ქუჩაზე გაიხსნა ახალი, კეთილმოწყობილი აფთიაქი, მას აქვს საუცხოო სასისტენტო, ლაბორატორია, მოსაცდელი დარბაზი, მედიკამენტების საწყობები.

ხელზე საგამყიდველო განყოფილება უზრუნველყოფილია აუცილებელი და მრავალფეროვანი წამლებით.

გაიცანით: „ანაკლია“

ასე ეწოდება ტანკერს, რომელიც რიგის საზღვაო ვაგზლის ნავმისადგომთან დადგა. იგი ატარებს კოლხიდის იმ კონცხისა და დაბის სახელს, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროზეა. ხომალდი აგებულია საქართველოს საზღვაო სანაოსნოსათვის ქალაქ რაუმის (ფინეთი) გემსაშენში.

გემის შედარებით პატარა წყალშიგი საშუალებას მისცემს მას შევიდეს წყალმცირე ნავსადგურებში. (საქდესის კორ.).

მედლები გრძასცემს

ბაქო

ბაქოში თბილისში საზეიმოდ დაიბურა ნ. ალექსანდრიასა და ა. ჩაიკოვსკაიას მატჩი ჭადრაკში. სსრ კავშირის 1968 წლის ჩემპიონს ნ. ალექსანდრიას ოქროს მედალი, დიპლომი და ფასიანი ჩანთა გადასცა სსრკ-ის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის-თანმდებობის-პირი ვ. სანაძემ. მანვე ვერცხლის მედლით, დიპლომით და ფასიანი ჩანთით დაჯილდოვა საერთაშორისო ოსტატი ა. ჩაიკოვსკაია. გამარჯვებულის ტიტულის მიღებით თურქმენეთის მინისტრთა საბჭოსა და პიონერთა სახლის შეიარაღებულ ძალებში — ხალიჩები. ნ. ალექსანდრიამ და ა. ჩაიკოვსკაიამ ილაპარაკეს მატჩზე და მადლობა გადაუხადეს დამსწრეთ.

უღლაცავენ

ო. იგნატიევა

საერთაშორისო ოსტატი

საქართველოს ქალთა საქადრაკო სკოლა, მწვრთნელთა ნაყოფიერი მუშაობა საყოველთაოდ აღიარებულია. **ნანას** ჩემპიონობა, **ალას** ვერცხლის პრიზიორობა ამის თუნდაც ერთ-ერთი დადასტურებაა. ორივეს ვულოცავ წარმატებას, მოხარული ვიქნები თუ მომავალშიც ასეთი მატჩის მოწმე გავხდები თბილისში.

ბ. გურგენიძე

საერთაშორისო ოსტატი

ნანას საერთო გამარჯვება, მისი მეორედ ჩემპიონობა თვითეულ ჩვენთაგანს ეამაყება. რა თქმა უნდა, მეც, როგორც მისი მწვრთნელი მოხარული ვარ ამ გამარჯვებით. სასიამოვნოა ჩაიკოვსკაიას დამარცხებაც. ვუსურვებ ორივე მოჭადრაკეს შემდგომ წარმატებას.

ნ. ასლანოვი

თურქმენეთის საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარე

ძალზე მოხარული ვარ საქართველოს მოჭადრაკე ქალთა წარმატებით. ისინი აშხაბადში დიდი სიმპათიით სარგებლობდნენ. მე დამამაგალეს გამარჯვებულებისათვის გადამეცა თურქმენეთის მინისტრთა საბჭოსა და აშხაბადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის პრიზები. სიამოვნებით შევასრულე ეს დავალება. მიიღეთ თურქმენი ხალხის გულწრფელი სალამი.

ოქრო ტურნირი

ლიდერობს კორჩნოი

მალიორკაში გრძელდება დიდი საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში. მერვე ტურში უყრადღების ცენტრში იდგა სპასკისა და ლარსენის შეხვედრა. ეს პარტია უკიმოდ დამთავრდა. **კორჩნოიმ** დაამარცხა ესპანელი კორალა და მორიგი გამარჯვება მოიპოვა მაკენროისთან გადადებულ პარტიაში. მსოფლიოს ჩემპიონმა პეტროსიანმა ასევე ერთ დღეს ორი ქულა მოიპოვა — დაამარცხა ესპანელი ვიზე და გადადებულ პარტიაში მოუგო გლიგორიჩს.

8 ტურის შემდეგ ლიდერი გახდა **კორჩნოი**, რომელსაც 7 ქულა აქვს. მეორე ადგილზეა **ლარსენი** — 6,5 ქულა, მესამეზე — **პეტროსიანი** 5,5 ქულა. სპასკის 5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

12 ტურის შემდეგ

ბერლინში ე. ლასკერის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირზე გათამამდა 12 ტური. ლიდერია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი **ულმანი**, რომელსაც 9 ქულა აქვს. **ბრონშტეინსა** და **ვასიუკოვს** რვა-რვა ქულა აქვთ, **სუეტინს** — 7,5 ქულა.

ლიდერები და აუტსაიდერები

დიდმა ქალაქურმა სტარტი აიღო. უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდებმა უკვე გამართეს ორ-ორი შეხვედრა. მატჩები შედგა მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, თბილისში, რიგაში, ქუთაისში.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით თბილისის „დინამოსა“ და „ბურევესტნიკის“ მეორე მატჩების შედეგებზე ტარტუს „კალევთან“ და ცსკა-სთან. აი დანარჩენი თამაშების შედეგები: ლენინგრადის „სპარტაკმა“ რვაწინა აიღო კიევის „სტროიტელთან“ შეხვედრაში 72:63, ასევე რიგის ვეფხვმა დაამარცხა დინამოელტანტი — მოსკოვის „დინამო“ 73:67, კიევის ჯრმების სასპორტო კლუბის გუნდმა მეორეჯერ მოუგო რიგელ თანატოლებს 89:78, ხოლო ქუთაისის „ჟალგირისმა“ ალმა-ატის „ლოკომოტივს“ 89:76.

როგორც ვხედავთ, სტარტზე წარმატებით გამოვიდნენ კიევის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი, ქუთაისის „ჟალგირისი“, არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი და თბილისის „დინამო“, რომლებმაც ორ-ორი გამარჯვება მოიპოვეს და ლიდერები არიან. თითო ქულა აქვთ ლენინგრადის „სპარტაკს“, რიგის ვეფხ-ს, კიევის „სტროიტელს“ და მოსკოვის „დინამოს“. ორ-ორი შეხვედრა წაიგეს რიგის არმიის სასპორტო კლუბის გუნდმა, ტარტუს „კალევმა“, ალმა-ატის „ლოკომოტივმა“ და თბილისის „ბურევესტნიკმა“.

მორიგი ტურის მატჩები გაიმართება 6 და 7 დეკემბერს. თბილისის დინამოელები საკუთარ მოედანზე ორჯერ შეხვდებიან ლენინგრადის „სპარტაკს“. თბილისის „ბურევესტნიკი“ ითამაშებს კიევში არმიის სასპორტო კლუბის კალათბურთელებთან.

შრომის წითელი დროშის ორდენის ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1969 წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

ბიოქიმია (დასწრებული); ვირუსოლოგია (დასწრებული). მცენარეთა ფიზიოლოგია (დასწრებული);

სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაცია (დასწრებული და დაუსწრებელი). მზადდება ადიღეს ავტონომიურ ოლქში სამუშაოდ;

სახოფლო-სამეურნეო იარაღმანქანების ექსპლოატაცია და რემონტი (დასწრებული და დაუსწრებელი), მზადდება კოლხიდაში სამუშაოდ;

სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია (დასწრებული);

მელიორაცია და სარწყავი მიწათმოქმედება (დასწრებული); მზადდება კოლხიდაში სამუშაოდ;

აგროქიმია (დასწრებული და დაუსწრებელი);

სუბტროპიკული კულტურების სელექცია და მეთესლეობა (დასწრებული);

სუბტროპიკული კულტურები (დასწრებული და დაუსწრებელი). მზადდება ადიღეს ავტონომიურ ოლქში სამუშაოდ.

ფიტოპათოლოგია და მცენარეთა დაცვა (დასწრებული);

აგროსტყეო მელიორაცია (დასწრებული), მზადდება კოლხიდაში სამუშაოდ;

სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, ორგანიზაცია და დაგეგმვა (დასწრებული და დაუსწრებელი).

დასწრებულ ასპირანტურაში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 35 წლის ასაკამდე, ხოლო დაუსწრებელში 45 წლის ასაკამდე, რომელთაც მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება, გამოიჩინეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი და აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ.

განცხადებას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე თან უნდა ერთვოდეს შემდეგი საბუთები (რუსულ ენაზე); ა) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი ფოტოსურათით; ბ) დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან; გ) გამოქვეყნებული მეცნიერული შრომების, სამეცნიერო-ტექნიკური ანგარიშების სია, ცნობები გამოგონების, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შესახებ ან მეცნიერული მოხსენებები (რეფერატები) არჩეულ თემაზე სპეციალობის მიხედვით); დ) საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერი იმ პირთათვის, რომლებიც უმაღლესი სკოლიდან რეკომენდაცია მიეცათ ასპირანტურაში შესასვლელად უშუალოდ უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ; ე) მოწმობა ფორმა № 6-ის მიხედვით საკანდიდატო გამოცდის ჩაბარების შესახებ იმ პირთათვის, რომლებსაც მთლიანად ან ნაწილობრივად ჩააბარეს საკანდიდატო გამოცდები; ვ) უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ასლი, ნოტარიუსის მიერ შემოწმებული; ზ) დოკუმენტი პრაქტიკული მუშაობის სტაჟის შესახებ (ამონაწერი შრომის წიგნაკიდან).

პასპორტი და დიპლომი უმაღლესი სკოლის დამთავრების შესახებ წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად ასპირანტურაში შემსვლელის მიერ.

ასპირანტურაში შემსვლელნი ვბარებენ საკონკურსო გამოცდებს სპეციალურ დისციპლინაში, სკკპ ისტორიაში და ერთერთ უცხო ენაში უმაღლესი სკოლის პროგრამის მოცულობით.

განცხადება მიიღება 1969 წლის 1 იანვრამდე.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 1969 წლის იანვარში.

ასპირანტურაში შემსვლელნი გამოცდებზე გამოცხადდებიან მხოლოდ ინსტიტუტის დირექტორის გამოძახებით.

ასპირანტები წარმოებისაგან მოწყვეტით უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით უკანასკნელი სამსახურის ხელფასის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 100 მანეთისა თვეში, და საერთო საცხოვრებლით.

მისაღებ გამოცდებზე დაშვებულთ ეძლევა ერთი თვის ფასიანი შვებულება მუშაობის ადგილზე, გამოცდებისათვის მოსამზადებლად და ჩასაბარებლად.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. მახარაძე, ანასეული.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტი

აცხადებს მიღებას კურსებზე შემდეგი სპეციალობების მოსამზადებლად:

1. კოშკური ამწის მემანქანეები
2. ექსკავატორის მემანქანეები
3. ბულდოზერის მემანქანეები

კურსებზე მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 18-დან 30 წლამდე ასაკისა. სულ მცირე 7 კლასის განათლებით. კურსებზე ჩარიცხულნი უზრუნველყოფილ იქნებიან სტიპენდიით.

მეცადინეობის ვადაა სამი თვიდან ხუთ თვემდე.

განცხადებები მიიღება ა. წ. 15 დეკემბრიდან. მეცადინეობა დაიწყება 20 დეკემბერს. დაწვრილებითი ცნობისათვის მიმართეთ:

1. ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპ. 41, კორპუსი 17. მექანიზაციის ტრესტი, ტელ. 37-03-39.
2. ქ. რუსთავი, მექანიზაციის სამმართველო № 2. ტელ. 9-38-04, დამ. 38-44.
3. ქ. ქუთაისი, ავტოქარხნის 33, მექანიზაციის სამმართველო № 5, ტელ. 50-88.
4. ქ. სოხუმი, დასახლების 27, მექანიზაციის სამმართველო № 8, ტელ. 34-59.
5. ქ. ბათუმი, ლერმონტოვის 80, მექანიზაციის სამმართველო № 6, ტელ. 49-04.
6. ქ. ჰიათურა, ლენინის 28, მექანიზაციის სამმართველო № 7, ტელ. 6-79.
7. ქ. გორი, ხაშურის გზატკეცილი, მექანიზაციის სამმართველო № 9, ტელ. 28-55.

თბილისის № 49 ტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა დამატებით მიღებას 1968-69 წლისათვის

სასწავლებელი ამზადებს შემდეგ სპეციალისტებს: მექანიკური დანადგარების ამწყობ ზეინკლებს, ტვიფრების გამწყობებს, მტვიფრავებს, ზეინკალ-ელექტრომონტაჟერებს, ტექნიკური კონტროლის კონტროლიორებს.

სწავლების ხანგრძლივობა ერთი წელია. მიიღებიან საშუალო და არასრული საშუალო განათლების მქონე **ვაჟები** და **ქალიშვილები** 17-დან 25 წლამდე ასაკისა. სწავლის პერიოდში ფრაიდონსებს სტიპენდია გაუდიდდებათ 25 პროცენტით, აგრეთვე აუნაზღაურდებათ საბაზო საწარმოსა და სასწავლო სახელოსნოში შესრულებული სამუშაოს ღირებულება დადგენილი წესით.

ფრაიდზე კურსდამთავრებულნი უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხებიან უკონკურსოდ, პროფილის მიხედვით. მსურველებმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ: ა) სამწიფის ატესტატი, ან 8-9 კლასის დამთავრების მოწმობა (არასრული საშუალო განათლების მქონეთათვის), ბ) დაბადების მოწმობა (დედანი), გ) ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, დ) პასპორტი, სამხედრო ბილეთი და სამხედრო მიწერის ბარათი (სამხედროვალდებულთათვის). ე) ექვსი ცალი ფოტოსურათი (ზომა 3X4).

განცხადებები მიიღება ყოველდღე, გარდა კვირისა.

მისამართი: თბილისი, გორგასლის ქ. № 115, 49-ე ტექნიკური სასწავლებელი.

ტელ. 93-61-83, სამგზავრო ავტობუსი № 19 და 23. გაჩერება ქარხანა „ელექტროავტომატი“.

შრომის წითელი დროშის ორდენის ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს საშტატო თანამდებობების დასაკავებლად

I. ნიადაგმცოდნეობის, მელიორაციისა და მიკრობიოლოგიის განყოფილებაში — უფროსი მეცნიერი მუშაკის თანამდებობაზე — მეცნიერ მუშაკის თანამდებობაზე — მეცნიერ ებათა დოქტორი ან კანდიდატი —4 საშტატო ერთეული, მათ შორის: მიკრობიოლოგია — 3; მელიორაცია და სარწყავი მიწათმოქმედება — 1.

II. აგრომეტეოროლოგიის განყოფილებაში — უფროსი მეცნიერი მუშაკის თანამდებობაზე — მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი —1 საშტატო ერთეული — აგრომეტეოროლოგია.

III. ციტრუსოვანთა სელექციის განყოფილებაში — უფროსი მეცნიერი მუშაკის თანამდებობაზე — მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი —1 საშტატო ერთეული — სელექცია და მეთესლეობა.

IV. აგროტექნიკის განყოფილებაში — უფროსი მეცნიერი მუშაკის თანამდებობაზე —მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი — 2 საშტატო ერთეული — სუბტროპიკული კულტურები.

V. აგროქიმიის განყოფილებაში — უფროსი მეცნიერი მუშაკის თანამდებობაზე — მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი — 4 საშტატო ერთეული — აგროქიმია.

VI. სოფლის მეურნეობის მავნებლებისა და ავადმყოფობათაგან მცენარეთა დაცვის განყოფილებაში — უფროსი მეცნიერი მუშაკის თანამდებობაზე — მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი — 3 საშტატო ერთეული, მათ შორის ენტომოლოგია — 1, ფიტოპათოლოგია — 2;

VII. სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და სტანდარტიზაციის განყოფილებაში — უფროსი მეცნიერი მუშაკის თანამდებობაზე — მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი — 2 საშტატო ერთეული, მათ შორის სუბტროპიკული კულტურები — 1, ბიოლოგიური ქიმია — 1.

ყველა ზემოთხსენებული საშტატო თანამდებობების მუშაობის ადგილი — ანასეული, მახარაძის რაიონი.

ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ფილიალებსა და საცდელ პუნქტებში

VIII. ჩაქვის ფილიალში — უფროსი მეცნიერი მუშაკის თანამდებობაზე — მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი —2 საშტატო ერთეული, მათ შორის აგროქიმია — 1, ბიოლოგიური ქიმია — 1. მუშაობის ადგილი ჩაქვი, ქობულეთის რაიონი.

IX. სოხუმის ფილიალში — უფროსი მეცნიერი მუშაკის თანამდებობაზე — მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი — 5 საშტატო ერთეული, მათ შორის ბიოლოგიური ქიმია — 1, მცენარეთა ფიზიოლოგია — 1, აგროქიმია — 1, ენტომოლოგია — 1, სოფლის მეურნეობის ეკონომიკა და ორგანიზაცია — 1, მუშაობის ადგილი ქალაქი სოხუმი.

X. ზუგდიდის ფილიალში — უფროსი მეცნიერი მუშაკის თანამდებობაზე — მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი—1 საშტატო ერთეული —სუბტროპიკული კულტურები. მუშაობის ადგილი ქალაქი ზუგდიდი.

XI. იმერეთის საყრდენ პუნქტში — უფროსი მეცნიერი მუშაკის თანამდებობაზე —მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი — 1 საშტატო ერთეული — აგროქიმია. მუშაობის ადგილი წყალტუბო.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთ განცხადება შეაქვთ ინსტიტუტის დირექტორის სახელზე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები რუსულ ენაზე ორ ცალად: ა) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი და ავტობიოგრაფია, ბ) უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო ხარისხის დოკუმენტების ასლები, გ) დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, დ) მეცნიერული შრომებისა და გამოგონებათა სია.

განცხადების შეტანის ვადაა ერთი თვე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

განცხადება იგზავნება მისამართით: ქ. მახარაძე, ანასეული, ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.

საქართველოს ა. ი. ღიღებულიძის სახელობის ენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას ასპირანტურაში 1968 წელს შემდეგი სპეციალობის მიხედვით:

დასწრებული ასპირანტურა — ჰიდროელექტროსადგურები და ჰიდროენერგეტიკული დანადგარები — 1 ადგილი.

დაუსწრებელი ასპირანტურა — ჰიდროელექტროსადგურები და ჰიდროენერგეტიკული დანადგარები — 1 ადგილი, თბოტექნიკის თეორიული საფუძვლები — 1 ადგილი.

ასპირანტურაში შემსვლელნი საკონკურსო გამოცდებს აბარებენ სპეციალურ საგანში, სკკპ ისტორიაში და ერთ-ერთ უცხო ენაში უმაღლესი სასწავლო პროგრამების ფარგლებში.

განცხადება ასპირანტურაში მიღების შესახებ შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები ერთ ცალად: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი ფოტოსურათით, ნოტარიულად შემოწმებული დიპლომის პირი; ცნობა პრაქტიკული მუშაობის სტაჟის შესახებ და ამონაწერი რეკომენდაციის შესახებ სამეცნიერო საბჭოს დადგენილებიდან, მოწმობა ფორმა № 6 იმ პირებისათვის, ვისაც ჩაბარებული აქვს საკანდიდატო მინიმუმის გამოცდები; გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია, ცნობები გამოგონებათა, საცდელ საკონსტრუქტორო ნამრომთა შესახებ და დასკვნები მათზე. იმ პირებმა, რომელთაც გამოქვეყნებული შრომები არა აქვთ სპეციალურ საგანში უნდა წარმოადგინონ სამეცნიერო მოხსენება (რეფერატი) ერთ ცალად.

საბუთების მიღება განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის სწავლულ მდივანთან, მისამართი: თბილისი, ზოია რუხაძის № 1, ტელეფონი 36-22-40.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

4 დეკემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ბორის გოდუნოვი (მე-12 აბონ. მე-7 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ხანუმა, **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — ყარამან ყაითელაძე, **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — იცოცხლე მრავალჟამიერ, **რუსთაველის სახელმწიფო დრამატული** — კომედიის ხელოვნება (მე-14 აბონ. მე-10 წარმოდგენა). **კონსერვატორიის დიდი დარბაზი** — საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი, **თოჯინების ჭართული** —ფიფქიას სკოლა (11 ს. და 1 ს.).

□

ტელევიზია

4 დეკემბერი

11.00 — გადაცემათა პროგრამა, 11.05 — სკოლამდელთათვის — ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად, 11.15 — „ჯანმრთელობა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — კინონარკვევი, 11.50 — მხატვრული ფილმი „მზისა და წვიმის დღე“, 13.00 — „საბჭოთა ქვეყნის კანონი“. გადაცემა-რეპორტაჟი, მიძღვნილი საბჭოთა კონსტიტუციის დღისადმი (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.20 — გადაცემათა პროგრამა, 17.25 — ლექცია პოლიტეკონომიის შემსწავლელთათვის, 17.55 — გადაცემა „საბჭოთა ქვეყნის გარ მოქალაქე“, 18.15 — „ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის არჩევნების შესახებ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — გადაცემა „შრომაში გამარჯვებულნი“, 19.20 — განცხადებები, 19.25 — „ჩვენ ვმღერით მშობლიურ ჰანგებს“ (სტუდიაში — სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჟთა გუნდი), 19.50 — კინონარკვევი, 20.00 — „საბჭოთა ქვეყნის კანონი“ გადაცემა-რეპორტაჟი. მიძღვნილი საბჭოთა კონსტიტუციის დღისადმი (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.05 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — პროგრამა 5 დეკემბრისათვის, 21.35 — მხატვრული ფილმი „კოლეგები“.

რედაქტორი

დ. მჟედლიშვილი.

„კომუნისტი“ | თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 99-22-93, მრეწველობის — 99-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 99-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

კომუნისტი ინდექს 66443 უე 11127

საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.